საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 21.

თბილისი 13-14.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
მარინე ჟვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
ლალი შაიშმელაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან ფანჩულიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;
სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - „ცოდნის" (ს/კ 209467673) დირექტორი ნაზი ნადირაძე;
2. შპს - „ცოდნის" (ს/კ 238730931) დირექტორი მარინე ნადირაძე;
3. შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვების" წარმომადგენელი მანანა გვირჯიშვილი;
4. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის დირექტორი მარინე არაბული;
5. შპს - გორის გიორგი ხარაულის სახელობის მრავალდარგოვან კოლეჯ „აღმზრდელის" დირექტორი პაატა ქურდაძე;
6. სპს - ბათუმის სამედიცინო პედაგოგიური კოლეჯის დირექტორი რევაზ უზუნაძე, პრორექტორი აკაკი ზოიძე;
7. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის წარმომადგენლები თინათინ გიორგაძე და იზო ხალვაში;
8. შპს - ბათუმის მრავალდარგოვან კოლეჯ „მედიცინის" წარმომადგენელი ჟუჟუნა ზოიძე, მოადგილე სასწავლო დარგში ბადრი გეჩბაია;
9. შპს - ბათუმის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგოვანი ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე დიასამიძე;
10. შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ „ეკვატორის" პარტნიორი თეიმურაზ ვარშანიძე;

11. შპს - „არგოს“ დირექტორი სვეტლანა ბახია;
12. შპს - თბილისის №1 მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯის დირექტორის მოადგილე გულიკო თედიაშვილი;
13. შპს - საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრის დირექტორი ნარგიზ ჩარკვიანი, მენეჯერი თამარ შენგელია.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნინო ფეტვიაშვილი;
ნათია ქაჯაია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19[15] სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივნის, გაიანე სიმონიას, არყოფნის გამო საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრს - ანა კლდიაშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - „ცოდნის“ (ს/კ 209467673) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „ცოდნის“ (ს/კ 238730931) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვების“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. პროფესიული კოლეჯის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა
- შპს - გორის გიორგი ხარაულის სახელობის მრავალდარგოვანი კოლეჯი „აღმზრდელი";
- შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი;
- სპს - ბათუმის სამედიცინო პედაგოგიური კოლეჯი;
- შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;
- შპს - ბათუმის მრავალდარგოვანი კოლეჯი "მედიცინა";
- შპს - ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტი;
- შპს - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგობრივი ინსტიტუტი;
- შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი "ეკვატორი";
- შპს - „არგო“;
- შპს - თბილისის №1 მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი;
- შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი;
- შპს - საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

1. შპს - „ცოდნის“ (ს/კ 209467673) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით
შპს - „ცოდნა“ მდებარეობს თბილისში, სარაჯიშვილის ქ. N108–ში. იჯარით აღებული შენობის საერთო ფართია 1561 კვ. მ. ცენტრალური გათბობის სისტემა დასამონტაჟებელია (სკოლა 1 თვეა გადავიდა ახალ შენობაში, სადაც ცენტრალური გათბობის სისტემა არ არსებობდა). აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „სამშენებლო ტექნიკურ ჯგუფთან“, რომელიც ვალდებულია, არაუგვიანეს 15 ნოემბრისა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშოები.

საბჭოს თავმდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, გამოეთქვათ მოსაზრება საკითხის შესახებ. საბჭოს წევრებმა დავით კახნიაშვილმა და ნინო ძოწენიძემ აღნიშნეს, რომ გათბობა დაწესებულებაში, როგორც წესი, ნოემბრიდან ირთვება, ამდენად არ შეიძლებოდა შენიშვნა ამ შემთხვევაში არსებითად ჩათვლილიყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 420-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და დაადასტურეს, რომ დაწესებულებას, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შესაძლებლობა აქვს მომსახურება გაუწიოს 420 მოსწავლეს.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ცოდნის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 420-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ცოდნას“ (209467673) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 420-ით.

2. შპს - „ცოდნის“ (ს/კ 238730931) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - „ცოდნის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ცოდნის“ თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, განახორციელოს აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მომხსენებელმა ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლის საკლასო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე ტიპის სასკოლო ინვენტარით: ჩვეულებრივი და ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. სასკოლი ინვენტარი განახლებულია მიმდინარე წლის ივლისის თვეში, რის გამოც, მისი ზომები არ შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს. საექსპერტო ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციასა და შპს - „პროფილს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს - „პროფილი“ იღებს ვალდებულებას, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ეტაპობრივად მოახდინოს სასკოლო ინვენტარის ზომების შესაბამისობაში მოყვანა ცენტრის რეკომენდაციებთან.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება, რაც ექპერტმა დაადასტურა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით, ასეთ შემთხვევაში საკითხი დაწესებულების სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

1.2 სკოლას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისათვის შეძენილი აქვს ლაბორატორია, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება ლაბორატორიის აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალს, რადგან არ მოიცავს ბიოლოგიის მოდელებს და მულაჟებს. თუმცა, დაწესებულება გეგმავს ლაბორატორიის შევსებას.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, დაეკონკრეტებინა, შპს - „პროფილთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ხომ არ ითვალისწინებდა ლაბორატორიის შევსებასაც. ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა განმარტა, რომ შპს - „პროფილთან“ დადებული ხელშეკრულება სხვა ტიპის ინვენტარს ეხებოდა და არ ითვალისწინებდა ლაბორატორიის შევსებას.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ კარგი ლაბორატორია, რომელიც რეკომენდაციებში მითითებულ თითქმის ყველა ერთეულს მოიცავდა. ლაბორატორიის აღჭურვილობას მართლაც აკლდა რამდენიმე ერთეული, თუმცა დაწესებულებამ იგი მოგვიანებით შეიძინა, რასაც ნასყიდობის ხელშეკრულებაც ადასტურებდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა დაწესებულებას უკვე გადახდილი ჰქონდა თუ არა. ექსპერტმა, თეა შაყულაშვილმა დაადასტურა, რომ სხდომის დღისათვის სკოლას უკვე შეძენილი ჰქონდა ბიოლოგიის მოდელები, რისთვისაც თანხა გადახდილი იყო 8 სექტემბერს და წარმოდგენილი იყო გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციაც.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „ცოდნის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

საათობრივი ბადის მიხედვით, მასწავლებელ ნინო ნიკურაძეს აქვს სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინრის კვალიფიკაცია და ასწავლის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2000 წლიდან დღემდე. ნადირაძე იზოლდას ქიმიკოსის კვალიფიკაცია აქვს და ასწავლის ბიოლოგიას, მისი პედაგოგიური გამოცდილება ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლის თანამდებობაზე, პირადი საქმის მონაცემებით, 1983 წლიდან იწყება; მაია შარაშენიძეს ფიზიკის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებლის კვალიფიკაცია აქვს და ასწავლის მათემატიკას 2000 წლიდან.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აღნიშნულ პედაგოგებს გარდა იმავე საგნებში სკოლას სხვა პედაგოგებიც ჰყავდათ თუ არა. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სხვა პედაგოგებიც ჰყავდათ და შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვინაიდან ქიმიის მასწავლებელს კარგი გამოცდილება ჰქონდა, უფლება მისცეს ბიოლოგიაც ესწავლებინა. რაც შეეხება ნინო ნიკურაძეს, მას გარდა იმისა, რომ ჰქონდა უმაღლესი განათლება, 1998 წელს გავლილი ჰქონდა შესაბამისი კურსები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში და აღებული ჰქონდა შესაბამისი სერტიფიკატები, იგი რეგულარულად გადიოდა ტრენინგებს ამ სფეროში.

თავმჯდომარის განმარტებით, საბჭოსათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებას ამ საგნებში შესაბამისი კვალიფიკაციის სხვა სპეციალისტებიც ჰყავდა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, მისი მოსაზრებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად მასწავლებელს უნდა გაევლო მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიზიკოსს ესწავლებინა მათემატიკა და ა.შ. რა პერიოდის განმავლობაშიც არ უნდა ესწავლებინა მასწავლებელს სხვა საგანი, არ შეიძლებოდა იგი კვალიფიციურად ჩაითვალიყო.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებები შეიცავდა შესაბამის დაშვებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სურვილი ჰქონდა, აგრეთვე განახორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულებას მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განსაზღვროდა 320-ით.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. რაზეც ექსპერტებმა თანხმობა გამოხატეს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ცოდნის“ ავტორიზაციის და ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ცოდნას“ (ს/კ 238730931) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

მომხსენებელმა ისაუბრა, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ შპს - „ცოდნამ“ წარმოადგინა დამფუძნებელთა საბჭოს მიერ დამტკიცებული 8 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება სტანდარტებში მითითებულ კვალიფიკაციებს, თუმცა, გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- კბილის ტექნიკოსისა და ბუღალტრის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- არცერთ პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების ხანგრძლივობა. არ არის დაკონკრეტებული, რამდენ კვირას ან თვეს მოიცავს სემესტრი.
- არც პროგრამებში და არც საგნობრივ პროგრამებში არ არის გამიჯნული საკონტაქტო და არასაკონტაქტო (დამოუკიდებელი) საათების რაოდენობა;
- ყველა საგნობრივ პროგრამაში სწავლის შედეგები ზოგადად არის გაწერილი და არ შეესაბამება პროგრამის შედეგების რუკაში მითითებულ კომპეტენციებს;
- საგნობრივ პროგრამებში: ეკონომიკის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები, სამოქალაქო სამართლისა და სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები, სასწავლო პრაქტიკა მოიცავს წმინდა თეორიულ საკითხებს;
- ზოგიერთ საგნობრივ პროგრამაში არ ჩანს, თუ როგორ ფასდება სასწავლო პრაქტიკა;
- არ არის წარმოდგენილი რამდენიმე საგნობრივი პროგრამა: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა;
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (ჩარიცხვის) წესები, თუმცა, არ არის შემუშავებული სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები;
- დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია შენიშვნებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ჰქონდათ ოთხი პროგრამა, რომლებთან დაკავშირებითაც, ძირითადად, ერთი და იგივე ტიპის შეცდომები და შენიშვნები დაფიქსირდა. მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმის მიხედვით, თითო პროგრამა ერთ საფეხურზე 30-კრედიტიანია, რომელიც დაწესებულების შემთხვევაში 900 საათს შეესაბამება, თუმცა, თვეების რაოდენობა პროგრამაში მითითებული არ იყო. მოგვიანებით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დებულებაში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, იგი იზიარებდა ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეკონკრეტებინა, როდის იქნა ცვლილებები შეტანილი დებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა დააკონკრეტა, რომ 5 სექტემბერს, ვიზიტის შემდეგ განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. მისი განმარტებით, კრედიტების რაოდენობის მითითება საკმარისად ჩათვალეს. წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ კოლეჯი ზუსტად ასე საქმიანობდა 12 წლის განმავლობაში და ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ახლაც.

პროგრამის საათობრივ გეგმასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში ცალკე გრაფა არ იყო გამოყოფილი, თუმცა, ყველაპროგრამა მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ ნაწილსაც.

თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო, როგორც წესი, საკითხს მხარის სასარგებლოდ წყვეტს ხოლმე, თუ ვიზიტის დროს ხარვეზის გამოსწორება დაწყებული იყო და მოგვიანებით სრულიად გასწორდა, რადგან ზოგჯერ შენიშვნა არაარსებითია და საბჭოს ხდომის დღეს უკვე აღმოფხვრილია. ავტორიზაციის დებულება მიუთითებს, რომ საბჭომ არ უნდა მიიღოს მხედველობაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შექმნილი დოკუმენტი. როცა დაწესებულება საბჭოს წარუდგენს დოკუმენტაციას, რომელიც ვიზიტის შემდეგ შეიქმნა, ზეპირი სხდომის ფორმატიდან გამომდინარე, საბჭოს არ შეუძლია მისი შემოწმება. სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი, რომ დაწესებულებას ვიზიტის დროს მიეწოდებინა ექსპერტთა ჯგუფისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია, რათა ვიზიტის დროს ყოფილიყო შესწავლილი.

მოცემულ შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ისეთი არსებითი ხასიათის შენიშვნები იყო დაფიქსირებული, რომ შეუძლებელი იყო დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის სხდომაზე შემოწმება,

ასეთი შეფასება იქნებოდა ზერელე. საბჭოს ისღა დარჩენოდა, ცენტრისათვის ეთხოვა პროფესიონალი ექსპერტების გამოყოფა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე შემოწმების მიზნით, რაც ავტორიზაციის დებულების დარღვევა იქნებოდა. ამ შემთხვევაში ყველაზე კანონიერი გზაა ახალი საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენა, რაც თავად გულისხმობს ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტს.
სკოლის წარმომადგენელმა, ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების დებულების ერთ-ერთ მუხლში ნამდვილად იყო მინიშნებული, როგორ ირიცხებოდა პროფესიული სტუდენტი პროგრამაზე, სხვა სასწავლებლიდან როგორ გადმოდიოდა, როგორ ხდებოდა მიღება და ა.შ. სკოლის წარომადგენელმა საბჭოს წარუდგინა აღნიშნული დებულება, რომელიც თამჯდომარემ გამოაქვეყნა და ადგილზე გადამოწმდა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ცოდნისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი. ამასთან, განმარტა, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დაწესებულებას მოუწევდა კონტინგენტის საერთო რაოდენობიდან დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ცოდნას“ (238730931) უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე.

3. შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვების“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ,,ფესვების“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ,,ფესვების“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებსა და ფაქტობრივ გარემოებებეზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით
1.1 პრეზიდენტის განკარგულების თანახმად ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, II მიკრო/რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის №6-ში მდებარე 187–ე საჯარო სკოლის, სახლმწიფო საკუთრებაში არსებული 13607.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.10.06.006.129) და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები №1 და №2, საერთო ფართობით - 7424.99 კვ.მ. მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცა შპს ”ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს”.
აღნიშნული განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1–1/1537 ბრძანების საფუძველზე 2011 წლის 19 აგვისტოს გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს ”ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს” შორის. საჯარო რეესტრიდან 2011 წლის 29 აგვისტოს ამოღებულ ამონაწერში მესაკუთრის განყოფილებაში მითითებულია შპს ”ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვები” ID ნომერი:211357020
აღნიშნული დოკუმენტებიდან დასტურდება შპს ”ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვების” საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, საერთო ფართით 13607.00კვ.მ. და მასზე განთვასებულ შენობა - ნაგებობებზე, საერთო ფართობით - 7424.99 კვ.მ.
1.2 შპს ”ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს“ აქვს 7 კომპიუტერით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ,,ფესვების“ მფლობელობაშია დამატებით 38 ერთეული კომპიუტერი, 1 პორტარტული კომპიუტერი, 1 პროექტორი უნივერსალური, 4 დიაპროექტორი, პრინტერი, მაგრამ იგი სკოლის ბალანსზე ჯერ კიდევ არ არის აყვანილი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი კომპიუტერი იყო დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს.
მომხსენებლის განმარტებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდებობდა, რომ სკოლას ჰქონდა 7 ბალანსზე აყვანილი და 38 ჯერ კიდევ აღურიცხველი კომპიუტერი. შესაბამისად, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს აღმოჩენილი იყო საერთო ჯამში 45 კომპიუტერი.
თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა რატომ არ ჰქონდა სკოლას ბალანსზე აღრიცხული 38 ერთეული კომპიუტერი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლას კომპიუტერები და სხვა დასახელებული ინვენტარი გადაეცა 187–ე საჯარო სკოლის შენობის შეძენის დროს. სკოლის დირექტორის განმარტებით, ინვენტარიზაციის აქტი აღნიშნულ ნივთებზე უკვე გაკეთებულია და გადაცემულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის. თუმცა, ჯერჯერობით ინვენტარზე მიღება-ჩაბარების აქტი ოფიციალურად არ არის გაფორმებული.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 187-ე საჯარო სკოლის ლიკვიდაციის გამო, სკოლის ბალანსზე რიცხული ქონება გადავიდოდა რესურს-ცენტრის მფლობელობაში. შესაბამისად, შპს "ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს" რესურს-ცეტრთან უნდა გაეფორმებინა მიღება-ჩაბარების აქტი ინვენტარის გადაცემის თაობაზე.
თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას ქონების ბალანსზე აყვანასთან დაკავშირებით სამართლებრივი პროცედურა არ ჰქონდა დასრულებული.
1.3 ახლად შეძენილი სკოლის პირველ სართულზე იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო გარემოს შექმნა როგორც საკლასო ოთახებით, ასევე სველი წერტილით. შესასვლელში კეთდება პანდუსი. შპს "ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს" აქვს გაფორმებული ხელშეკრულება 31.08.2011 წელს ინდმეწარმესთან (ს/კ 53001015521) პანდუსების დამზადების თაობაზე, რომელიც 20 დღის ვადაში უნდა შესრულდეს.
თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსგავს საკითხებზე საბჭოს დამკვიდრებული ჰქონდა ერთიანი მიდგომა. მისი განმარტებით, რადგან დაწესებულებას აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ შეასრულებდა სტანდარტის უზრუნველყოფისთვის საჭირო სამუშაოებს, საბჭოს შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და ჩაეთვალა, რომ დაწესებულების მხრიდან სტანდარტი არ იყო დარღვეული.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით
სკოლაში ფიზიკას ასწავლის ელექტრონული ტექნიკის ინჟინერი სპეციალობით „ნახევარგამტარები და დიელექტრიკები", ქიმიას - ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგი სპეციალობით „კერამიკისა და ცეცხლგამძლე მასალების ქიმიური ტექნოლოგია", გეოგრაფიას - ინჟინერ-ჰიდროლოგი სპეციალობით „ხმელეთის ჰიდროლოგი", მათემატიკას - ინჟინერ-ელექტრიკოსი სპეციალობით „ავტომატიკა და ტელემექანიკა".
თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს სკოლას ჰყავდა თუ არა დასახელებულ საგნებში სხვა პედაგოგები, რაზეც სკოლის დირექტორმა თანხმობა განაცხადა.
თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს და სთხოვა დაეზუსტებინა ექსპერტთა ჯუფის მიერ გადამოწმებული იყო თუ არა აღნიშნული პეგადოგების პედაგოგიური სტაჟი, რაზეც მომხსენებელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შესაბამისი ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა.
დაინტერესებულმა მხარემ საბჭოს მოკლედ მოახსენა პედაგოგების სამუშაო გამოცდილების შესახებ. საბჭომ მიიჩნია, რომ პედაგოგთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს.
თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში.
სკოლის დირექტორის განცხადებით შპს "ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებს" ფასიან საწყისზე ჰყავდა 125 მოსწავლე და დამატებით 640 მოსწავლე, რომლებსაც 187-ე საჯარო სკოლის ლიკვიდაციის გამო სწავლა უნდა გაეგრძელებინათ შპს "ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებში."
თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 900-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 900 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ,,ფესვების" ავტორიზაციის საკითხი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვებს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.

4. შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ახალი ქართული გიმნაზიის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ახალი ქართული გიმნაზიის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. მაგრამ აქვს 52.68 კვ. მ. ფართის ოთახი, რომელიც, სკოლის დირექტორის განმარტებით, განკუთვნილია აღმოსავლური ორთაბრძოლებისათვის. ოთახში არის შვედური კედელი, სათამაშოები, ჭადრაკის დაფა და პიანინო. ოთახი არ არის ისეთი სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი ან ფრენბურთი. ვიზიტის დროს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა შპს ,,როიალ-2009”-თან დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 15 ივნისამდე შპს ,,ახალი ქართული გიმნაზიის” V-XII კლასის მოსწავლეებისთვის შპს ,,როიალ-2009” იზრუნველყოფს საცურაო აუზზე ცურვის გაკვეთილების ჩატარებას, კვირაში 2-ჯერ.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ არჩეული ჰქონდათ ჭადრაკი და აღმოსავლური ორთაბრძოლები. დამატებით, შპს ,,ახალი ქართული გიმნაზიას” შპს ,,როიალ-2009”-სთან, დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი სკოლის მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფდა საცურაო აუზზე ცურვის გაკვეთილების ჩატარებას.

1.2 შპს - ახალ ქართულ გიმნაზიაში ამ ეტაპზე არ არსებობს ლაბორატორია, თუმცა სკოლის დირექტორის განმარტებით იგეგმება ლაბორატორიული კაბინეტის შექმნა. სკოლას გაფორმებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება შპს - ,,ჯეო-დეკორთან”, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის, საერთო დანიშნულების სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებით (უკვე გადახდილია თანხის 10%).

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, შემოწმებული ჰქონდათ თუ არა ავრტორიზაციის ექსპერტებს ლაბორატორიის შეძენის დამადასტურებელლი ქვითარი. მომხსენებელმა განმარტა, რომ ლაბორატორიის საერთო ფასის 10% გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ვიზიტის დროს გადამოწმებული იქნა.

1.3 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი ძირითად მიმდინარეობს მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება ი/მ ვალერიან მეზვრიშვილთან 2011 წლის 17 აგვისტოდან 2011 წლის 15 სექტემბრამდე კიბის უჯრედში პირველიდან მეორე სართულის ასასვლელზე პანდუსის დამზადების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ნანახი ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს აღნიშნული ხელშეკრულება. მომხსენებელმა საბჭოს განუმარტა, რომ ხელშეკრულება პანდუსების დამონტაჟების თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტებს ნანახი ჰქონდათ.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის პირველ სართულზე იყო ერთსაფეხურიანი კიბე, სადაც დამონტაჟებული იყო პანდუსი. დირექტორის განმარტებით, პირველივე სართულზე განთავსებული იყო კეთილმოწყობილი ოთახი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი სამივე გარემოება იყო ისეთი, რომლებზეც ავტორიზაციის საბჭოს დამკვიდრებული ჰქონდა ერთგვაროვანი პრაქტიკა. როდესაც დაწესებულება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტს წარუდგენს შესაბამის სამუშაოების დაწყების ფაქტობრივ გარემოებებს და სამუშაოთა დასრულების შესახებ დოკუმენტაციას, საბჭო, როგორც წესი საკითხს წყვეტს მაძიებლის სასარგებლოდ.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 350-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 350-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 340 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - ახალი ქართული გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 340 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ახალი ქართულ გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340-ით.

5. პროფესიული კოლეჯის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ცენტრს მიმართა შეკითხვით, იქნა თუ არა გაგზავნილი შეტყობინებები, აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული წარმოებაში მოსაწვევად.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულებები წარმოადგენენ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონე დაწესებულებებს, რომლებიც, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიიღეს პროფესიული კოლეჯის სტატუსი, და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით, შემოიტანეს ცენტრში თვითშეფასების ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ესწრებიან თუ არა სხდომას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. საბჭომ გამოარკვია, რომ სხდომას არ ესწრებიან მხოლოდ ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტისა და შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის წარმომადგენლები.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განმარტა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩაბარდა მოწვევის წერილი, რითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში ეცნობათ საბჭოს სხდომის შესახებ. ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის შესახებ ასევე გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებ-გვერდის საშუალებით.

საბჭოს თავმჯდომარემ გადაამოწმა დაინტერესებული პირების სხდომაზე მოწვევის საკითხი და გამოარკვია რომ დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირისათვის შესაძლებლობის მიცემას, მონაწილეობა მიიღოს, მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. აღნიშნულზე დაყრდნობით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითზები:

5.1 შპს - გორის გიორგი ხარაულის სახელობის მრავალდარგოვანი კოლეჯი ”აღმზრდელი”

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც წარედგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დარღვეულია პროფესიული სტანდარტით გათვალისიწნებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების თანაფარდობა. კერძოდ

ა) ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში:

სასაწავლო გეგმაში საწარმოო პრაქტიკისთვის არის 8 კრედიტი - 200 საათი, ხოლო პროგრამის მოცულობის შესაბამისად სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისთვის განკუთვნილია 14 კრედიტი–530 საათი.

სასწავლო საწარმო პრაქტიკისთვის განკუთვნილი საათების ოდენობა ნაცვლად 350–ისა დაფიქსირებულია 530 საათი, რაც აღემატება პრაქტიკის კომპონენტისთვის გათვალისწინებულ საათებს და ჯამში იძლევა სტუდენტისთვის ასათვისებლად 1155 საათს, რაც 46 კრედიტს უდრის, ნაცვლად პროგრამით წარმოდგენილი 35 კრედიტისა.

ბ) ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში:

საათებისა და კრედიტების საერთო მოცულობა ნორმაშია –60 კრედიტი –1500 საათი, მაგრამ დარღვეულია თანაფარდობა თეორიულ და პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტებისა და საათების რაოდენობაში.

პროგრამის მოცულობის – 60 კრედიტიდან თეორიული კომპონენტისთვის განკუთვნილია– 30 კრედიტი, რაც შეადგენს 750 საათს, ნაცვლად წარმოდგენილი 900 საათისა.

პრაქტიკის კომპონენტისთვის გათვალისწინებულია 30 კრედიტი, რაც შეადგენს 750 საათს, ნაცვლად წარმოდგენილი 600 საათისა.

გ)ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში:
პროგრამის მოცულობაა 50 კრედიტი–1250 საათი, აქედან სასწავლო და საწარმო პრაქტიკისთვის განკუთვნილია 40%(20 კრედიტი)–500 საათი, თეორიული სწავლებისთვის კი–60%(30 კრედიტი)–750 საათი. ჯამში კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია სტანდარტთან, მაგრამ თანაფარდობა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს შორის არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულს.
დ)მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში:
თეორიული სწავლებისთვის და სასწავლო-საწარმო პრაქტიკისთვის სტანდარტით გათვალისწინებული რაოდენობრივი თანაფარდობა (60-40) არ არის დაცული.
კერძოდ,თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი საათების წარმოდგენილი რაოდენობა– 900 საათი არის პროგრამის მოცულობის 60%, ნაცვლად სტანდარტით გათვალისწინებული 40%–ისა.
სასწავლო და საწარმო პრაქტიკისთვის სტანდარტით გათვალისწინებული 60% შეადგენს 900 საათს, მაგრამ წარმოდგენილია 600 საათი–პროგრამის მოცულობის 40%.
1.2. პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსების ნაწილი წარმოდგენილი არ არის.
1.3. ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში:
პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, არის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია–ბუღალტერ–მოანგარიშე, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მითითებულია ბუღალტერ–მოანგარიშის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
1.4. ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა:
არ შეიცავს ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციას.
პროგრამის ფორმატით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების რუკაში, საგანთა ჩამონათვალში არის საგანი ლათინური ენა, რომელიც წარმოდგენილი სქემის მიხედვით სწავლის შედეგზე არ გადის.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით
2.1. სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი ფართი სარემონტოა, 9 აუდიტორიიდან 2 ამორტიზებულია. წარმოდგენილია რემონტის ხარჯთაღრიცხვა და ხელშეკრულება, რომელშიც რემონტის დასრულების ვადები არაა მითითებული.
2.2 საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროგაყვანილობა და სველი წერტილები მოსაწესრიგებელია.
2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნში მითითებულია 362 ერთეული წიგნი. შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით დასტურდება მხოლოდ ახლადშეძენილი წიგნების არსებობა, ექსპერტთა მიერ შერჩეული წიგნებიდან არცერთი არ არის დამოწმებული დაწესებულების ან/და დაწესებულების ბიბლიოთეკის ბეჭდით.
2.4 დაწესებულებაში ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი ასევე კორესპონდენციის სარეგისტრაციო წიგნი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ცნობების გაცემის ჟურნალი, რომელშიც არ ხდება ხელმოწერა ცნობების გატანის დროს. ბრძანებები ჩალაგებულია ბაინდერში და არ იძლევა საქმისწარმოების სანდოობის გარანტიას.
4/8 ბრძანების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ხსენებული ბრძანება არ შეიცავდა დებულებას წესდების დამტკიცების თაობაზე, მაშინ როდესაც შპს „აღმზრდელის“ პროფესიული საგანამანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელ წესდებას აწერია რომ დამტკიცებულია №4/8 ბრძანებით.
დაწესებულებიდან გასული კორესპონდენციის ასლები არ არის შენახული.
2.6 დაწესებულების მიერ შემუშავებული აქვს მისიის შესაბამისი განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც გაწერილია 2011–14 წლებზე.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით
3.1 დაწესებულებას ამჟამად, 2011 წლის 1 ივნისის № 3–9 ბრძანების შესაბამისად, აყვანილი ჰყავს 28 მასწავლებელი, თუმცა მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ვადა აქვს გასული.
8 პედაგოგის პირადი საქმე საერთოდ არ არის ადგილზე. რამდენიმე პირადი საქმე წარმოდგენილი იქნა არასრული სახით.

რამდენიმე მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას, მაგალითად: ანატომია–ფიზიოლოგია–ჰიგიენის მასწავლებლად მოიაზრება ქიმია–ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირი, ეკონომისტის კვალიფიკაციის მქონე პირი მოიაზრება კომპიუტერული ქსელების, კომპიუტერული ტექნიკის მასწავლებლად; სამკურნალო მასაჟის მასწავლებლად გათვალისწინებულია პირი, რომელსაც აქვს გავლილი მასაჟისტის სამთვიანი კურსები. სხვა დოკუმენტაცია, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი სამუშაო გამოცდილების დადასტურება, დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.
სიტყვა მიეცა შპს - გორის გიორგი ხარაულის სახელობის მრავალდარგოვანი კოლეჯი "აღმზრდელი"-ს წარმოადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ შენიშვნებს. წარმომადგენლემა განაცხადა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საავტორიზაციო ვიზიტის დროისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების შესაბამისად, ექსპერტების მიერ დადგენილი ხარვეზები მის მიერ აღმოფხვრილია.
დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ რადგან სარემონტო სამუშაოების ხელშეკრულებაში რემონტის დასრულების ვადები არ იყო მითითებული, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ვადად განისაზღვრა 20 ოქტომბერი. რაც შეეხება წიგნად ფონდს, 149 წიგნი მასწავლებლებმა ნაჩუქრობის ხელშეკრულებით აჩუქეს კოლეჯს. დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები, რომელთა კვალიფიკაციაში ექსპერტებმა ეჭვი შეიტანეს, მილევად პროგრამებში ჰყავდა დასაქმებული. ამჟამად მასწავლებლები ჩანაცვლებული არიან იმ პირებით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა 20:36 საათზე.
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 21:18 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა გორის გიორგი ხარაულის სახელობის მრავალდარგოვანი კოლეჯი "აღმზრდელი"-ს წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაფიქსირებულია შენიშვნების, კერძოდ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობასთან დაკავშირებული ხარვეზის გასწორება ვერ განხორციელდებოდა მარტოოდენ დოკუმენტის შეცვლით. საგანმანათლებლო პროგრამა არის სპეციალისტების მიერ ერთობლივად შექმნილი პროდუქტი, რომელიც მარტივად, ციფრების ჩასწორებით არ იცვლება.
დაწესებულების წარმომადგენლემა განაცხადა, რომ არის პედაგოგი, 11 წელი აქვს კოლეჯში მუშაობის გამოცდილება, შესაბამისად, სასწავლო გეგმის გასწორება, მათ შორის ექთნის თანაშემწის პროგრამისთვისაც, მისთვის არის ძალიან მარტივი.
კორესპონდენციის აღრიცხვიანობის საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საექსპერტო ვიზიტის შემდგომ მოაწესრიგეს კორესპონდენციის აღრიცხვიანობა, ხოლო 2010-2011 წლის კორესპონდენციას აწესრიგებდა უნივერსიტეტის კანცელარია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გორის გიორგი ხარაულის სახელობის მრავალდარგოვანი კოლეჯი "აღმზრდელი"-სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

საბჭოს წევრებმა ლალი ღოღელიანმა და ნინო ძოწენიძემ აღნიშნეს, რომ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ დაწესებულების მიერ აღმოფხვრილია ექსპერტთა დასკვნაში მითითებული შენიშვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გორის გიორგი ხარაულის მრავალდარგოვან კოლეჯ ,,აღმზრდელს“ გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5.2 შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2008 წელს შემუშავებული სახელობო პროგრამები. პროგრამა არ არის შედგენილი პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, კრედიტების რაოდენობა და სწავლის საფეხურები ჩანს მხოლოდ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კატალოგში.

1.2 ყველა შემოწმებული საგანმანათლებლო პროგრაგრამით - ბუღალტერ–ტექნიკოსი / ვებ–მედია ტექნოლოგიები/კომპიუტერული სისტემები და ქსელები/ მედდა/გიდი/ორთოპედიული სტომატოლოგია-კბილის ტექნიკოსი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტები არ შეესაბამება შესაბამისი სპეციალობისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამებში არ არის განსაზღვრული პროგრამის მოცულობა, მეთოდოლოგია და ზოგიერთ მათგანში მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და სასწავლო პრაქტიკა.

1.3 პროგრამის ფორმატით წარმოდგენილი შეფასების სისტემა არ არის შესაბამისობაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისტემასთან,

1.4 დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

1.5 პროგრამის ბოლოს მითითებული ლიტერატურა არ იძებნება ბიბლიოთეკაში.

1.6 საწარმოო პრაქტიკის ადგილი პროგრამაში მითითებული არ არის, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების პროგრამაში პრაქტიკის განხორციელების ადგილად მითითებულია კოლეჯის კომპიუტერული კლასი, ხოლო გიდის პროგრამაში - საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილად მითითებულია გასვლითი ეკსკურსიები შიდა ქართლის ღირშესანიშნაობებზე.

1.7 თვითშეფასების ანგარიშში ასახულია რომ პროფესიული კოლეჯის სტატუსის მქონე დაწესებულება ახორციელებს IV საფეხურის პროგრამას (ორთოპედიული სტომატოლოგია - კბილის ტექნიკოსი).

1.8 დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას დაწესებულების, შესაბამისი საგანამანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, და შეფასების წესის შესახებ.

1.9 ყველა პროგრამის სწავლის შედეგები შეუსაბამობაშია პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტების მოთხოვნებთან.

1.10 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების საერთო წესი.

სხვადასხვა პროგრამებში დაშვების წინაპირობა განსხვავებულია, მაგალითად: გიდის სახელობო პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: „კურსის გავლის მსურველს უნდა ქონდეს საბაზისო ცოდნა გეოგრაფიასა და საქართველოს ისტორიაში, სასურველია საბაზისო უცხო ენის ცოდნა“, ორთოპედიული სტომატოლოგია / კბილის ტექნიკოსის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ფორმულირებულია შემდეგნაირად: „მსმენელად მიიღება სათანადო ჯანმრთელობის მქონე ნებისმიერი მსურველი, რომელსაც გააჩნია დაკვირვებულობა, საკუთარი საქმიანობის ანალიზისა და დამახსოვრების უნარი, აგრეთვე აქვს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი“.

1.11 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1.12 დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1. შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი განთავსებულია ხაშურში, რუსთაველის ქ. #1–ში. ხსენებული ფართი (1000.7 კვ.მ.) შპს ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯმა ქვექირავნობით სრული მოცულობით გადასცა შპს ,,ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იუირიდიულ–ეკონომიკურ ინსტიტუტს.

კოლეჯმა წარმოადგინა ქვექირავნობის ხელშეკრულება, სადაც მითითებულია, რომ ქვექირავნობით გადასაცემი

საერთო ფართია 1000, 7 კვ.მ, რომელიც ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ–ეკონომიკურ ინსტიტუტს (ფართში მდებარე ინვენტარით, ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ტექნიკით) გადაეცა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. ხსენებული ხელშეკრულება გაფორმებულია 2010 წლის 17 სექტემბერს და ძალაშია 7 წლის ვადით.

სასწავლო ფართი, რომელიც აღჭურვილია ინვენტარით მთლიანად გაქირავებულია, იქ არსებული საწავლო ინვენტარითა და წიგნადი ფონდით,

2.2. ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია ფართი, მასში განლაგებული წიგნები არ არის დაწესებულების ბალანსზე. პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებს ახლავს ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც არ არის შესაბამისობაში ბიბლიოთეკაში განთავსებულ ლიტერატურასთან.

2.3. დაწესებულებას მიეწოდება ინტერნეტი, მაგრამ არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტის მიწოდების თაობაზე, ასევე ვერ წარმოადგინა დოკუმენტი თუ ვისი ინტერნეტით სარგებლობს.

2.4. დაწესებულების ბრძანებების წიგნი და ბრძანების რეგისტრაციის ჟურნალი შესაბამისობაში არ არის ერთმანეთთან.

2.5. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, კოლეჯის ვებგვერდია www.khashuricollege.hostei.com, რომელზე განთავსებული ინფორმაცია ნაწილობრივ ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდი არ შეიცავს ინფორმაციას დაწესებულების სტრუქტურის, პერსონალის შესახებ. განთავსებულია საგანამანათლებლო პროგრამების მხოლოდ სახელწოდება. ვინაიდან დაწესებულების ვებგვერდი სარგებლობს მესამე მხარის ჰოსტინგ რესურსით შესაბამისი დომეინის ფლობა და ინტერნეტ სივრცით სარგებლობა დაწესებულებას არ უდასტურდება.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1. შრომითი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული 16 მასწავლებელთან.

3.2. ხელშეკრულებების არ არსებობის გამო ვერ დგინდება რომელი მასწავლებელი რა საგანს წაიკითხავს. პროგრამა არ შეიცავს ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა პერსონალის შესახებ.

ირმა ნოზაძემ განაცხადა, რომ შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯის წარმომადგენელმა დატოვა სხდომა, ვინაიდან ეთანხმებოდა ყველა შენიშვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს თხოვა, დაეზუსტებინა მატერიალური რესურსების ნაწილში არსებული შენიშვნები. ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განმარტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მთლიანი ფართი და ინვენტარი გადაცემული აქვს შპს - ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის უნივერსიტეტისათვის, რომელიც გახლავთ არაფორმალური განათლების განმახორციელებელი დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5.3 შპს - ბათუმის სამედიცინო პედაგოგიური კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტების და სპეციალობათა ჩამონათვალის მოთხოვნებს:

-კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მესამე საფეხურის კბილის ტექნიკოსის კვალიფიკაცია, სტანდარტის თანახმად - კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

-მასაჟისტის მესამე საფეხურის პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მასაჟისტი, სტანდარტის თანახმად - მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

-ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურის პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მომვლელი და ძიძა, სტანდარტის თანახმად - ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნები არსებითი არ არის, რადგან სხვაობა უმნიშვნელოა, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

1.2 კრედიტების საერთო რაოდენობის გადანაწილება:

- კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ კრედიტების საერთო რაოდენობაა არის 60,9, საათების რაოდენობა კი - 1524. თუმცა, სასწავლო გეგმის მიხედვით, კრედიტების საერთო რაოდენობა არის 62. ექსპერტის მიერ დაჯამებული საათების რაოდენობა არის 1522.5, ნაცვლად 1524 საათისა.

-მასაჟისტის პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ კრედიტების საერთო რაოდენობა არის 61.5, საათების საერთო რაოდენობა კი - 1537. სასწავლო გეგმის მიხედვით, კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 62-ს. პრაქტიკა მოიცავს 45 კრედიტს. თუმცა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკის საათები შეადგენს 936 საათს. შესაბამისად, პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა არის 37,44, ნაცვლად 45 კრედიტისა.

ექთნის თანაშემწის პროგრამაში კრედიტების საერთო რაოდენობა პროგრამის აღწერაში მეორე საფეხურზე შეადგენს 35,3 კრედიტს, საათების საერთო რაოდენობაში წერია 883 საათი. ხელახალი გადათვლის შედეგად საათების რაოდენობა გამოდის 882,5 საათი. სასწავლო გეგმაში კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 62-ს. პრაქტიკისათვის გამოყოფილია 24,2 კრედიტი, თუმცა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკის საათები შეადგენს 410 საათს, რაც კრედიტებში შეადგენს 16,4-ს.

1.3 სილაბუსების არარსებობა

კბილის ტენიკოსის მესამე საფეხურის პროგრამის სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული 11 საგანი, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ხუთი სილაბუსი: 1.კბილებისა და ყბების სისტემის ანატომია, ფიზიოლოგია და ბიომექნიკის სილაბუსი არის 2 კრედიტიანი, ხოლო გეგმაში არის 3 კრედიტიანი, შესაბამისად საათების გადანაწილება არ ემთხევა ერთმანეთს და გეგმით გათვალისწინებული საგნის სასწავლო პრაქტიკის 45 საათი, სილაბუსით არ არის წარმოდგენილი.

მასაჟისტის პროგრამის მესამე საფეხურის სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული 13 საგანი, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ერთი სილაბუსი (სამკურნალო მასაჟი და ფიზკულტურა), ეს სილაბუსი არის 5 კრედიტიანი, თუმცა სასწავლო გეგმაში მოცემულია ორი საგანი ცალცალკე-სამკურნალო მასაჟი-15 კრედიტი, სამკურანლო ფიზკულტურა - 9 კრედიტი. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით დანარჩენი საგნების სილაბუსები ერთიანია კოლეჯის ყველა პროგრამისათვის.

რაც შეეხება ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურის სილაბუსებს, არც ერთი მათგანი არ იქნა წარმოდგენილი.

1.5 სასწავლო გეგმაში ერთ-ერთ გრაფაში გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი შეფასება, თუმცა საათები საერთოდ არ არის გაწერილი. პროგრამის აღწერილობაში ტესტებსა და გამოცდებზე გამოყოფილია 1 კრედიტი.

1.6 ბიუგელისებური პროთეზების დამზადების ტექნიკის სილაბუსით გათვალისწინებულია 2 კრედიტი, ხოლო გეგმაში არის 8 კრედიტი. შესაბამისად საათების გადანაწილება არ ემთხევა ერთმანეთს და გეგმით გათვალისწინებული ამ საგნისთვის 72 საათი სასწავლო პრაქტიკის საათი, სილაბუსით არ არის წარმოდგენილი. იგივე სურათია დანარჩენ სილაბუსებშიც.
1.7 კოლეჯმა წარმოადგინა ფარმაცევტის მესამე საფეხურის პროგრამა. პროფესიული სტანდარტის თანახმად ამ პროგრამას აქვს მხოლოდ მეხუთე საფეხური, რაც ეწინააღმდეგება კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამას. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით პროგრამა არის მილევად რეჟიმში, შესაბამისად, ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს პროგრამა არ იქნა გადამოწმებული, ანალოგიურად მედდის პროგრამა და კლინიკურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზის ლაბორანტის პროგრამები არის მილევად რეჟიმში.
1.8 კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამების სწავლის შედეგები არ შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სტანდარტის მოთხოვნებს. შედეგების რუკის თანახმად ყველა საგანი ითვალისწინებს ექვსივე კომპეტენციის გამომუშავებას, თუმცა არც ერთი წარმოდგენილი სილაბუსებით ვერ დგინდება მისაღწევი კომპეტენციები.
1.9 არ არის არაფორმალური განათლების აღიარების წესები.
1.10 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შპს - ბათუმის სამედიცინო პედაგოგიური კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს, ასევე აღნიშნა, რომ ყველა მათგანი გასწორებულია, რის შესახებაც ცენტრს ეცნობა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღეს.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი, საექსპერტო ჯგუფის ფუნქცია შეასრულოს და შეაფასოს ახლად წარმოადგენილი დოკუმენტაცია და ცენტრის წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით, თუ რატომ არ განესაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად აუცილებელი ვადა.
ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად თვითშეფასების ანგარიშს ფორმალური ხარვეზები დაუდგინდა, რომელიც დაწესებულების მიერ შესწორებული იქნა. ამასთან, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებითაც არსებობდა ეჭვი, რომ დაწესებულების პირობები არ შეესაბამებოდა სტანდარტებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსების, კერძოდ ფართით სარგებლობის ნაწილში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება, ადგილზე შეემოწმებინა დაწესებულების პირობები, რისი უფლებამოსილებაც, მას მინიჭებული ჰქონდა კანონმდებლობით.
გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნა ცენტრის მხრიდან არ ყოფილა გაკეთებული, ვინაიდან ცენტრს არ ჰქონდა სრული სურათი ხარვეზების შესახებ, რისთვისაც ცენტრმა ჩათვალა მიზანშეწონილად დაწესებულების პირობების რეალური მდგომარეობა შეესწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებს ასევე არ უშუამდგომლიათ ხარვეზების გამოსასწორებლად ვადის მიცემაზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1. შპს - ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიურ კოლეჯს იჯარის ხელშეკრულებით აქვს აღებული 400 კვ.მ ფართი ბათუმის მეშვიდე საჯარო სკოლის შენობაში, ჰეიდარ აბაშიძის N30. დაწესებულება ხელშეკრულების მიხედვით ფართს ფლობს კვირაში 5 დღე დღეში სამი საათით. კოლეჯი განთავსებულია შენობის მეოთხე სართულსა და მესამე სართულის ნაწილენეიში. სკოლის დირექტორის განმარტებით კოლეჯი საქმიანობს დღის მეორე ნახევარში, მანამდე შენობაში ჩვეულებრივ მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო პროცესი.
საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა იკითხა, იყო თუ არა საჯარო სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.
ცენტრის წარმომადგნელმა, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, დაადასტურა აღნიშნული გარემოება. საბჭოზე გამოქვეყნდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით დადასტურდა, რომ დაწესებულება, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იჯარის უფლების საფუძველზე ფლობს 400 კვ.მ ფართს ბათუმის VII საჯარო სკოლის შენობაში, კვირაში 5 დღე დღეში სამი საათით.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჯარო სკოლა უფლებამოსილია იჯარით გასცეს ფართი, თუ ამით ხელი არ ეშლება სასწავლო პროცესს, ასევე, თუ საჯარო დაწესებულება არ ახორციელებს იმავე ტიპის

საგანმანათლებლო პროგრამებს, რასაც, ამ შემთხვევაში, ადგილი არა აქვს. დოკუმენტაციის შესწავლით იკვეთება, რომ დაწესებულებას ფართი აქვს მართლზომიერ მფლობელობაში. მეორე საკითხია, რომ სასწავლო ფართს დაწესებულება იყენებს მხოლოდ კვირაში 15 საათი.
საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა იკითხა, თუ რამდენად არის 3 საათი დღეში საკმარისი დრო სტუდენტის სასწავლო დატვირთვის ყველა კომპონენტის დასაძლევად.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმოანიამ, იკითხა, პროგრამები რომელიც ხორციელდება, პასუხობს თუ არა დღეში 3 საათით სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის მოთხოვნებს. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამებში გაწერილია სწავლების მოცულობა, ხანგრძლივობა, ხოლო სასწავლო კალენდარი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება 9 საათამდე რჩება სამუშაოდ.

2.2. კოლეჯს არ აქვს სამკითხველო დარბაზი.
2.3. კოლეჯს აქვს 4 კომპიუტერი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მართვაში, თუმცა ცალკე სასწავლო პროცესისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არ გამოიყენება.
2.4 კოლეჯს არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. მეშვიდე საჯარო სკოლის შენობას აქვს სპეციალური შემოსავლელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, თუმცა კოლეჯი არის განთავსებული მესამე და მეოთხე სართულზე, სადაც ასასვლელად არ არის პანდუსი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა ექსპერტებს, ითვალისწინებს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის გამომუშავებას და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, - 4 კომპიუტერით როგორ უზრუნველყოფს კოლეჯი აღნიშნული უნარების სტუდენტისათვის განვითარებას.
კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება ასევე, საჯარო სკოლის 30 კომპიუტერი, ამასთან, ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საჯარო სკოლის კომპიუტერული რესურსებით სარგებლობის უფლებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

შესწორებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, არის თუ არა ექსპერტთა დასკვნაში ასახული ყველა ხარვეზი გამოსწორებული. ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განმარტა, რომ შესწორებული პროგრამები დაწესებულებებამ ცენტრში წარმოადგინა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღეს, შესაბამისად, ახალი დოკუმენტაცია შესწავლას საჭიროებს.

22.03 საათზე გამოცხადდა შესვენება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით.
22:33 საათზე განახლდა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო შპს - ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიური კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესწორებული პროგრამები, რომელიც საბჭოს წევრებმა ავტორიზაციის ექსპერტების დახმარებით, ერთობლივად შეისწავლეს.
გამოსწორებულ პროგრამებში მითითებული კვალიფიკაცია არ იყო შესაბამისი, პროფესიული სტანდარტით დადგენილი კვალიფიკაციისა, პრაქტიკული კომპონენტი დაწესებულების მიერ გაწერილი იყო ისეთ სასწავლო დისციპლინებში, როგორიც არის უცხო ენა, ასევე პირველი საფეხურის კბილის ტექნიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სწავლის შედეგები შეესაბამებოდა პროფესიული სტანდარტით მესამე საფეხურისათვის დადგენილ სწავლის შედეგებს.

დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სწავლის შედეგები არეული იყო სხვადასხვა პროგრამებს შორის და დააყენეს შუამდგომლობა საბჭოზე საკითხის განხილვის ორი კვირით გადადების შესახებ, რა ვადაშიც ყველა შენიშვნა აღმოფხვრილი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობა შპს - ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიური კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

მომხრე - 0
წინააღმდეგი -5

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში ფაქტობრივად ჰქონდა ვადა, გამოესწორებინა და საბჭოსათვის წარმოედგინა ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით შეცვლილი დოკუმენტაცია, რაც მან გამოიყენა კიდევაც, თუმცა ახლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიური კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიურ კოლეჯს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5.4 შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებაში არსებული 18 პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტებში მითითებულ კვალიფიკაციებს

1.2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყველა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის წილი სტანდარტით/სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნაზე ნაკლებია. მაგალითად, ოფის-მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მე-2 (40 კრედიტი) და მე-3 საფეხურებზე (40 კრედიტი) სტანდარტის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები, აღნიშნულ პროგრამებში ერთგან პრაქტიკას ეთმობა - 11,2, მეორეგან - 11,6 კრედიტი, ნაცვლად არანაკლებ 16 კრედიტისა. გიდის პირველ საფეხურზე (30 კრედიტი), სტანდარტის მიხედვით პრაქტიკა არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები, პროგრამაში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას ეთმობა მხოლოდ 275 საათი - 11 კრედიტი, ნაცვლად 15 კრედიტისა და ა.შ

1.3 დაწესებულებაში არსებული არცერთი პროგრამა არ ითვალისწინებს წინა საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დადგენილი წესით აღიარებას;

1.4 მესამე საფეხურის პროგრამებში არ არის მითითებული მე-4 საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, მაშინ როდესაც პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, პროგრამებს აქვს ეს საფეხური;

1.5 პროგრამებში სწორედ არ არის განსაზღვრული სწავლების მეთოდოლოგია, კერძოდ რამდენიმე პროგრამაში სტუდენტის დატვირთვასა და სწავლის მეთოდებში მითითებულია ლაბორატორიული მეცადინეობა, მაშინ როდესაც ლაბორატორიულ მეცადინეობას არ ითვალისწინებს პროგრამის სასწავლო გეგმა. აღნიშნული არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს, სწავლების მეთოდოლოგიის პროგრამაში მითითებასთან დაკავშირებით.

1.6 ექთნის თანაშემწის ორივე საფეხურის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებში სასწავლო კურსები ისეა შერჩეული, რომ ვერ უზრუნველყოფენ სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამები ორიენტირებულია ექთნის ფუნქციების შესწავლაზე.

1.7 გიდის მე-3 საფეხურის პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - სპეციალიზირებული გიდი (ეკოტურიზმი), პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო კურსები ორიენტირებულია მხოლოდ ეკოტურიზმის სპეციალისტის მომზადებაზე, რაც არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ წესს, რადგან მე-3 საფეხურზე გიდი (ღვინის ტურის, ეკო, კულტურული და ა.შ) სპეციალისტია;

1.8 პროგრამებს თან ერთვის შესაბამისი კურსის გეგმები (სილაბუსები), რომლებშიც ფიქსირდება შემდეგი სახის ხარვეზები:

- არცერთ სილაბუსში არ ფიქსირდება შუალედური და დასკვნითი გამოცდა, შესაბამისად არ არის გამოცდისთვის განკუთვნილი დრო, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მოთხოვნებს.
- არცერთ სილაბუსს არ აქვს დაშვების წინაპირობა, არ ჩანს რა თანმიმდევრობით ისწავლება კურსები პარალელურად, თუ ერთმანეთის მონაცვლეობით;
- ყველა სილაბუსში სწავლის შედეგები ზოგადად არის გაწერილი და არ შეესაბამება პროგრამის შედეგების რუქაში მითითებულ კომპეტენციებს, ასევე არ ჩანს დარგობრივია თუ ზოგადი სილაბუსში აღწერილი შედეგი;
- ერთსა და იმავე დისციპლინის სხვადასხვა საფეხურის სილაბუსებში სწავლის მიზნები, შინაარსი და სწავლის შედეგები ერთმანეთის იდენტურია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემული შეფასების მეთოდები არ დასტურდება სილაბუსებით

1.10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს (კოპირებულია) და შეესაბამება განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი დადგენილი კონკრეტული საფეხურის შედეგებს, თუმცა აღნიშნული შედეგები, ხშირ შემთხვევაში, არ არის გამყარებული სილაბუსში ასახული კონკრეტული სასწავლო დისციპლინის სწავლის შედეგებით.

1.11 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული მობილობის და მიღებული განათლების აღიარების წესები.
1.12 დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც გამოიყენებენ ხარისხის გასაუმჯობესებლად, გაწერილი არ არის.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ მოიხსნას ექთნის თანაშემწის პროგრამის მიმართ გამოთქმული შენიშვნები, ვინაიდან დაწესებულება უარს აცხადებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე.
საბჭომ იმსჯელა და მხარი დაუჭირა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობას.

სხვა პროგრამებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზი ყოველთვისაა, სადაც მუშაობაა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაკეთდა პროგრამების კორექტირება. ასევე შეიცვალა პროგრამაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფარდება და შესაბამისი ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსების სილაბუსებში.
ავტორიზაციის ექსპერტს, ნინო ფეტვიაშვილს, ეთხოვა შესწორებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა. ექსპერტის განმარტებით, დასკვნაში ასახული ხარვეზები გამოსწორებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით
2.1 დაწესებულებაში მილევად რეჟიმში ხორციელდება არაფორმალური განათლების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 261-ს. დაწესებულების მფლობელობაში არებულ ფართზე აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე სწავლება პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. დაწესებულების დირექტორის განმარტებით ეს არ იწვევს საგანმანათლებლო პროცესის შეფერხებას, კოლეჯი იწყებს მუშაობას დღის მეორე ნახევარში, 15.00 საათის შემდეგ. აკადემიური საფეხურის პროგრამების 2010-2011 წლის მეორე სემესტრის სალექციო ცხრილის გადამოწმებამ გამოავლინა, რომ აკადემიურ საფეხურზე ლექციები დღის მეორე ნახევარშიც არის დანიშნული. ასე მაგალითად, წარმოდგენილ ცხრილში ოთხშაბათის ბოლო ლექცია იწყება 16.00 და 17.00, რაც კოლეჯის მუშაობაში შეჭრას გულისხმობს.
2.2. კოლეჯს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო არ აქვს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან კეთდება ახალი ცხრილები და მსგავსი რამ აღარ იქნება.
ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კიბე ძალიან ვიწროა, შესაბამისად, გამოიყო პირველ სართულზე ოთახი ასეთი პირებისთვის, გარდა ამისა, მასწავლებლები სახლში ივლიან ასეთ ბავშვებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ 23:20 საათზე გამოაცხადა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 23:36 საათზე.

საბჭომ იმსჯელა და ხმათა უმრავლობით დაადგინა, რომ დაწესებულების მიერ არსებითად გამოსწორებულია ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნაში არსებული ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

საბჭოს წევრებმა ანა კლდიაშვილმა და ლალი ღოღელიანმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის ექსპერტის დასკვნაში იმდენი ხარვეზი იყო მითითებული, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაწესებულების მიერ მათი სრულად აღმოფხვრა შესაძლებელი ყოფილიყო. საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა, აღნიშნა, რომ შენიშვნების ნაწილი შეეხებოდა ექთნის თანაშემწის პროგრამებს, რომელსაც დაწესებულება აღარ განახორციელებს, ამასთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, დამატებით შეისწავლოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისევე როგორც გამოითხოვოს დაწესებულებიდან

დამატებითი ინფორმაცია და ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულებების პირობების შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ხელახლა დააყენოს მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 2
წინააღმდეგი - 3

საბჭომ გადაწყვიტა:

შპს - ”ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის” ავტორიზაციის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

5.5 შპს - ბათუმის მრავალდარგოვანი კოლეჯი „მედიცინა“

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც არ შეესაბამება სტანდარტს, როელშიც მისანიჭებელი კვალიფიკაცია წარმოდგენილია შემდეგ სახით: „ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე“.

1.2 პროგრამებში მითითებულია სასწავლო კურსები, რომლის სილაბუსები არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროგრამაში - ფინანსური აღრიცხვა - 3 კრედიტი; ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები - 1 კრედიტი.

1.3 სილაბუსში შედეგები არ არის გაწერილი ისე, რომ შეესაბამებოდეს პროგრამის შედეგების რუკას. მაგალითად, სასწავლო კურსი ბუღალტრული „აღრიცხვის საფუძვლებში“ არ არის გაწერილი ორი კომპეტენცია - „დასკვნის გაკეთების უნარი“ და „ღირებულებები“, რომლებიც მითითებულია პროგრამის შედეგების რუკაში.

1.4 ბუღალტრის პროფესიული სტანდარტით მოთხოვნილია, რომ პროფესიულმა სტუდენტმა უნდა იცოდეს ბიზნესის სამართალი, ეს კურსი არ არის პროგრამაში და არცერთ იმ სილაბუსში, რომელიც თან ახლავს პროგრამას.

1.5 ყველა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა მოიცავს დამოუკიდებელ საათებს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121 ბრძანებას.

1.6. ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვაში მითითებულია ლაბორატორიული მეცადინეობა, რომელსაც არ ითვალისწინებს სასწავლო გეგმა.

1.7 ყველა სილაბუსის სასწავლო გეგმაში არ არის დაფიქსირებული დასკვნითი გამოცდა, შესაბამისად არ არის მისთვის განკუთვნილი საათების მოცულობა, ასევე არ არის გაწერილი დამატებითი გამოცდის პირობები.

1.8 სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის არცერთ სილაბუსში არ არის თემატიკის განაწილება დროსა და სასწავლო კვირების მიხედვით.

1.9 ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროგრამაში არ არის მითითებული პრაქტიკის მასწავლებელი, სტანდარტით კი მოთხოვნილია, რომ მას უნდა ჰქონდეს საქმიანობის სფეროში არანაკლებ სამწილიანი გამოცდლება; დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამაში მითითებული მოთხოვნები არ არის შემუშავებული და დამტკიცებული, შესაბამისად არ ახლავს საწარმოო პრაქტიკის სილაბუსს.

1.10 დაწესებულებაში არ არის შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმი

1.11. ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროგრამას არ აქვს ორი სილაბუსი - ურთიერთობის ფსიქოლოგიის საფუძვლები და რედაქტირების საფუძვლები.

1.12. სილაბუსებში (ოფისის ტექნიკა და კომპიუტერეული საოფისე პროგრამები) სასწავლო კურსების მიზნები იდენტურია და ზოგადია.

1.13. პროგრამაში ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) (მე-3 საფეხური) დაშვების წინაპირობა არ ითვალისწინებს ცოდნის, უნარებისა და ღირებლებების აღიარებას. ორივე საფეხურის პროგრამაში პროგრამის მიზნები იდენტურია.

1.14. სტანდარტით ოფისის მენეჯერმა (მდივან-რეფერენტი) იცის ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები, მაგრამ პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული სასწავლო კურსი/კურსები, რომელიც უზრუნველყოფს ამის სწავლებას, ასევე აღნიშნული საკითხები არ არის მოცემული პროგრამის არცერთ სილაბუსში.

1.15 ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) პროგრამების მე-2 და მე-3 საფეხურის სილაბუსებში - „საქმის წარმოება“, „მეტყველების კულტურა“ სწავლის შინაარსი ერთმანეთის იდენტურია ორივე საფეხურზე. პროგრამების სასწავლო გეგმებით საწარმოო პრაქტიკას მე-2 საფხურზე ეთმობა 16, ხოლო მე-3 საფეხურზე - 20 კრედიტი, სილაბუსები გამოყოფილია შესაბამისად 10 და 15 კრედიტი.

1.16 პროგრამს თან არ ახლავს ერთი სილაბუსი - „ურთიერთობის ფსიფოლოგიის საფუძვლები“.

1.17. ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროგრამაში არ ისწავლება ის კურსები, რომლებიც დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, მაგალითად ელემენტარული მათემატიკა (შეუძლია რაციონალურ რიცხვებზე

მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება), ასევე „ასაკობრივი განვითარების თავისებურებანი“ (ასაკობრივი, რელიგიური, სოციალური ფსიქოლოგიური და ა.შ.), ასევე (შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება).
1.18. პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს აქედან პრაქტიკის კომპონენეტს უნდა ეთმობოდეს 60% ანუ 27 კრედიტი, სასწავლო გეგამაში მითითებულია მხოლოდ 25 კრედიტი.
1.19. პროგრამას თან არ ახლავს ერთი სილაბუსი „ურთიერთობის ფსიქოლოგიის საფუძვლები“.
1.20. ორივე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის გეგმაში მითითებული სასწავლო კურსების სახელწოდება და შინაარსი ორიენტირებულია ისეთი კადრის აღზრდაზე, რომელმაც იცის სავადმყოფოში მუშაობის წესები, სხვადასხვა ტიპის ავადმყოფის მოვლა, რაც ვერ უზრუნველყოფს შესაბამის საფეხურებზე სტანდარტით დადგენილი სწავლის შედეგების უზრუნველყოფას.
1.21. პროგრამაში მე-3 საფეხურის ექთნის თანაშემწე, დაშვების წინაპირობაში არის მხოლოდ ცხრა კალასის დამადასტურებელი დოკუმენტი, პროგრამა არ ითვალისწინებს ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარებას, არც მე-2 საფეხურის დიპლომს, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ წესს.
1.22. მე-2 და მე-3 საფეხურის ექთნის თანაშემწის პროგრამების მიზნები ერთმანეთის იდენტურია.
1.23. ორივე საფეხურის ყველა ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მიზნები ერთმანათის იდენტურია.
1.24. არ არის შემუშავებული მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები.
1.25. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტის შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობას. სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს ამავე კოლეჯში მსგავსი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუმცა არცერთ წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის აღწერილი სტუდენტების გადასვლის კონკრეტული მექანიზმები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა დასკვნაში ასახული შენიშვნები და აღნიშნეს, რომ ისინი გასწორებულია. საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა შესწორებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ნინო ფეტვიაშვილს, თხოვნით შეესწავლა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, თუ ეს საბჭოს სხდომის ფორმატიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნებოდა.
ავტორიზაციის ექსპერტმა დაადასტურა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით
2.1. კბილის ტექნიკოსის სილაბუსის მიხედვით აუცილებელ მატერიალურ რესურსში წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი: ბორმანქანა, სტომატოლოგიური სავარძელი, წნეხი, სარჩილავი აპარატი, მაგიდა სათაბაშირო, მაგიდა სატექნიკო (დიდი და პატარა). ვიზიტის დროს ეს აღჭურვილობა კოლეჯში არ იყო.
2.2. დაწესებულებას ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახი და სამკითხველო დარბაზი არ აქვს. ვიზიტის დროს ბიბლიოთეკა განთავსებული იყო დირექტორის კაბინეტში. დირექტორის განმარტებით ბიბლიოთეკა განახლებისა და ჩამოყალიბების პროცესშია.
2.3 ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებულ წიგნებს.
2.4 წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი კოლეჯს არ აქვს.
2.5 კოლეჯს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო არ აქვს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა შენიშვნას. აღნიშნა, რომ ფართზე რემონტი იყო, ბორმანქანა და სხვა ინვენტარი, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა შესყიდული, ექსპერტებმა ვერ ნახეს მათი სხვა ადგილას გადატანის გამო. დაინტერესებულმა მხარემ წარმოადგინა მატერიალური რესურსის შეძენის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია და ფოტომასალა. ასევე

საბჭოს წარედგინა ვიზიტის შემდეგ შეძენილი წიგნების ნასყიდობის დამადასტურებელი ფაქტურები. წარმოდგენილი იქნა ასევე ხელშეკრულება გაფორმებული დაცვის თანამშრომელთან.

საბჭომ იმსჯელა და ჩათვალა, რომ ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნაში მოყვანილი ხარვეზები გამოსწორებულია.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1. მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებამ გამოავლინა, რომ სამი მასწავლებლის, კერძოდ ჟუჟუნა პაიჭაძის, ვიოლა დავითაძის და ტერეზა თევზაძის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები ადგილზე არ არის, რაც შეუძლებელებელს ხდის მათი კვალიფიკაციის დადგენას.

3.2 ექსპერტებმა ასევე გამოავლინეს ორი მასწავლებლის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროფესიული განათლების შესახებ კანონის 12[1] მუხლის მოთხოვნებთან. კერძოდ, ლოლა ლაითაძე, რომელიც განათლებით ისტორიკოსია, მოწვეულია „ურთიერთობების ფსიქოლოგიის საფუძვლების“ პედაგოგად, თუმცა მას აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლების სფეროში არ გააჩნია მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილება. ასეთივე ხარვეზი დაფიქსირდა თამილა დარჩიას შემთხვევაში, რომელიც პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, მოწვეულია ”საქმიანი ურთიერთობების კულტურის“ და „ეთიკეტის და კორესპონდენციის“ პედაგოგად და ანალოგიურად პირველი შემთხვევისა, არ გააჩნია აღნიშნული კურსის მიმართულებით მუშაობის 3 წლის სტაჟი.

ვინაიდან საბჭოს სხდომის დღედ დადგენილი 13 სექტემბერი ამოიწურა, საბჭოს გადაწყვეტილებით და დაინტერესებული მხარის თანხმობით, სხდომა გააგრძელდა 2011 წლის 14 სექტემბერს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჟუჟუნა პაიჭაძეს შეცვლილი აქვს გვარი, დიპლომი იყო ქორიძის გვარზე, ამიტომაც არ უღიარეს ექსპერტებმა. ასევე აყვანილი იქნა ახალი თანამშრომლები, რომელთაგან ერთი ფსიქოლოგიის დოქტორია, მეორე - ჰუმანიტარული მეცნიერების დოქტორი. ქორწინების მოწმობა და ახლად აყვანილი პერსონალის პირადი საქმეები წარედგინა საბჭოს, რომელმაც მათი განხილვის საფუძელზე, მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის მრავალდარგოვანი კოლეჯი ,,მედიცინა“-სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

საბჭომ გადაწყვიტა:

შპს - ბათუმის მრავალდარგოვანი კოლეჯი „მედიცინის“ ავტორიზაციის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

5.6 შპს - ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ყველა პროგრამა იყო წარმოდგენილი მხოლოდ კომპიუტერული ნაბეჭდის სახით ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.

1.2 კბილის ტექნიკოსის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში პროგრამის მიზანი არის ერთი და იგივე; სწავლის შედეგები სამივე საფეხურზე წარმოადგენს კბილის ტენიკოსის პროფესიული სტანდარტის ზუსტ ასლს;

სასწავლო გეგმაში დამოუკიდებელი საათების საერთო რაოდენობად მითითებულია 120, სინამდვილეში არის 130 საათი;

სასწავლო გეგმაში საგნების ჩამონათვალში პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში არის ორი პრაქტიკის საგანი: კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა და თაბაშირთან მუშაობა, ხოლო სწავლის შედეგების რუკაში არ არის მოცემული პრაქტიკა - თაბაშირთან მუშაობა.

1.3 ექთნის თანაშემწის ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მეორე საფეხურის ექთნის თანაშემწე და ექთნის თანაშემწე მესამე საფეხური; სტანადარტის თანახმად კვალიფიკაცია უნდა იყოს - ექთნის თანაშემწის მეორე/მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;

1.4 პროგრამების მიზანი არის ერთი და იგივე, მხოლოდ ოდნავ განსხვავდება უცხო ენისა და ინფორმატიკის სწავლების კუთხით, რაც ვერ დგინდება სილაბუსებით.

1.5 რაც შეეხება პროგრამების სასწავლო გეგმების თანახმად წარმოდგენილ სილაბუსებს, ადგილი აქვს ერთნაირ ხარვეზს:

- ყველა საფეხურის პროგრამაში გათვალისწინებული ინგლისური ენის სილაბუსები არის ერთი და იგივე მიზნის, სწავლის შედეგებისა და თემების შინაარსის მქონე. გარდა ამისა, ყველა სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია უცხო ენის სწავლა და არ არის დაკონკრეტებული, რომ ისწავლება ინგლისური ენა.
- ყველა საფეხურის პროგრამაში გათვალისწინებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სილაბუსები არის ერთი და იგივე მიზნის, სწავლის შედეგებისა და თემების შინაარსის მქონე; ხოლო ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსი საინფორმაციო ტექნოლოგიებში არ იყო წარმოდგენილი;
- ასევე არ იყო წარმოდგენილი ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კურსების სილაბუსები, მაგ.,ლათინური ენა, ფარმაკოლოგიის საფუძვლები, სამედიცინო რეაბილიტაციის საფუძვლები და სხვ., ასევე არ იქნა წარმოდგენილი კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პრაქტიკის სილაბუსი კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობაში.
- კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პრაქტიკის სილაბუსი *თაბაშირთან მუშაობა* კრედიტების მოცულობით შეადგენს 10 კრედიტს, რომელიც საათობრივად არის დაყოფილი ორ ნაწილად: ლაბორატორიული მეცადინეობა-120 საათი, საწარმოო პრაქტიკა-120 საათი. ვინაიდან ლაბორატორიული მეცადინეობა არ შედის პრაქტიკულ კომპონენტში, პრაქტიკაზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ავტომატურად მცირდება, და ნაცვლად გამოყოფილი 240 საათისა შეადგენს 120 საათს, რომელიც უდრის დაახლოებით 5 კრედიტს. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნას თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობის ნაწილში.

1.6 ხშირ შემთხვევაში სილაბუსების სწავლის შედეგები არ ემთხვევა პროგრამის შედეგების რუქას და წარმოდგენილია ნაწილობრივ, მაგ. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სილაბუსი კბილის ტექნიკოსის პირველ საფეხურზე გეგმით გადის სამ შედეგზე-ცოდნა და გაცნობიერება, სწავლის უნარი და კომუნიკაციის უნარი, ხოლო სილაბუსში ამ სამი კომპეტენციის გარდა იძენს კიდევ ერთ უნარს-ცოდნის პრატქიკაში გამოყენებას.

1.7 დაწესებულების დებულებაში არ არის არაფორმალური განათლების აღიარების წესები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულება დავით აღმაშენელის N13 მდებარე შენობა-ნაგებობაში იჯარის ხელშეკრულებით ფლობს მეხუთე სართულზე მდებარე 420 კვ.მ ფართს. აღნიშნულ ფართში არ არის განთავსებული ინვენტარი.

დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით, რემონტი დასრულდება სასწავლო წლის დაწყებამდე. შენობაში კოსმეტიკური რემონტი ფაქტობრივა დასრულებულია, დარჩენილია პარკეტის დაგება. იჯარით აღებული ფართიდან 46.44 კვ.მ საერთოდ გაურემონტებელია.

2.2. დაწესებულების კუთვნილ ფართში არ არის განთავსებული არანაირი ინვენტარი. იჯარის ხელშეკრულებაში, მითითებულია, რომ შპს - ბათუმის სამედიცინო - ეკოლოგიურ ინსტიტუტს ფართთან ერთად გადაეცა ქონება, თუმცა რა ქონება და რა რაოდენობით ხელშეკრულებაში არ არის მითითებული. დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით, შესაბამისი ინვენტარი რემონტის გამო ჩაკეტილი იყო იმავე შენობაში, სპეციალურ ადგილას, თუმცა ვიზუალური დათვალიერებისას შესაბამისი ოთახის გასაღების არ არსებობის გამო ინვენტარი ვერ იქნა ნანახი.

2.3 დაწესებულების ოთახებში არ არის გათბობის საშუალებები. შენობაში მიმდინარე რემონტის გამო შენობის შესაბამის ფლიგელში გამორთული იყო დენი.

2.4 დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით, ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, წიგნადი ფონდი დაუწყობელია და მოთავსებულია ლუკა ასათიანის N16-ში. თავად ბიბლიოთეკა დავით აღმაშენებლის N13-ში არ არის განთავსებული მიმდინარე რემონტის გამო. დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საინვენტარო წიგნის მიხედვით შეადგენს 956 ერთეულს, თუმცა არ არსებობს წიგნადი ფონდის საკუთრებაში ფლობის დოკუმენტაცია. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არ შეესაბამება ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს.

2.5 შენობაში მიმდინარე რემონტის გამო ადგილზე არ იყო არცერთი კომპიუტერი. ლუკა ასათიანის N 16-ში არსებულ ფართში განთავსებულია 4 კომპიუტერი. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ იქნა ნანახი ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დირექტორის განმარტებით, იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც ინსტიტუტს გადაეცა დავით აღმაშენებლის N13-ში არსებული ფართი, ასევე ითვალისწინებდა ქონების გადაცემას. ინსტიტუტს გადაეცა სულ 5 კომპიუტერი, თუმცა ექსპერტების მიერ აღნიშნული კომპიუტერები ვერ იქნა ნანახი.

2.6 შენობაში ვერ იქნა ნანახი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ევაკუაციის გეგმა, სამედიცინო პუნქტი. წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი დაწესებულებას არ გააჩნია.

2.7 დავით აღმაშეენებლის N13-ში არსებულ შენობაში განთავსებულია ორი ლიფტი. შენობის მეპატრონისა და დაწესებულების ხელმძღვანელების განმარტებით, ლიფტი დროებით არ მუშაობს, შენობის მეპატრონის განმარტებით მიმდინარე რემონტისა და სასწავლო პროცესის არ არსებობის გამო ამჟამად ლიფტები დროებით გამორთულია.

2.8 ვებ გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების პერსონალის შესახებ. ინფორმაციის განახლება არ ხდება რეგულარულად.

2.9 დაწესებულებას სტრატეგიული განვითარებისა და განვითარების ერთწლიანი გეგმები განთავსებული აქვს ვებ გვერდზე, რომელიც არავის მიერ არ არის დამტკიცებული. სტატეგიული განვითარების გეგმაში მთლიანად გადაღებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიიდან. ერთწლიან გეგმაში არ არის გათვალისწინებული მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმი.

ცენტრის წარმომადგენელმა განუცხადა საბჭოს, რომ შპს - ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელი არ ესწრება საბჭოს სხდომას

საბჭომ იმსჯელა და გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნაში მითითებული შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიურ ინსტიტუტს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5.7 შპს - ბათუმის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგოვანი ინსტიტუტი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას არ გააჩნია მისია.

1.2 დაწესებულება ამჟამად ახორციელებს სახელობო პროგრამებს,

1.3 წარმოდგენილი პროგრამები, რომლის განხორციელებაც დაწესებულებას სურს მომავალში არის ტურიზმი, პროთეზისტი, მედდა. ყველა პროგრამა არის სახელობო პროფილის, და არ შეესაბამება საქართველოს კანონს ,,პროფესიული განათლების შესახებ", პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, პროფესიულ სტანდარტებსა და მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს.

1.4 პროთეზისტის პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის პროტეზისტი (კბილის ტექნიკოსი), ტურიზმის პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა-სასტუმროს საქმის სპეციალისტი, მედდის პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა-მედდა რაც არ არის შესაბამისობაში პროფესიულ სტანდარტებსა და მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის მოთხოვნებთან.

1.5 ტურიზმის და პროტეზისტის პროგრამებში არ არის კრედიტებით გაანგარიშების წესი, ხოლო მედდის პროგრამა არის გაწერილი კრედიტებში. სასწავლო გეგმები აგებულია საათების მიხედვით.

1.6 მედდის პროგრამის გარდა, სხვა პროგრამები არ ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანებას №121/ნ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ.

1.7 სილაბუსებში არ არის კრედიტების გაანგარიშების წესი, თუმცა სილაბუსებში იყო გაწერილი შეფასების 100 ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემა შუალედური და დასკვნითი შეფასების გათვალისწინებით.

1.8 ტურიზმის და პროთეზისტის პროგრამები წარმოდგენილია ნაბეჭდი სახით ბეჭდის, რეკვიზიტების და ხელმოწერის გარეშე. მედდის პროგრამას აქვს ბეჭედი და ხელმოწერა, თუმცა ბრძანების გარეშე.

1.9 დაწესებულებაში პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) არ არსებობს;

1.10 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

1.11 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

1.12 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.13 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადა მთავრდებოდა 2011 წლის 20 აგვისტოს, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ვიზიტის განხორციელებიდან მეორე დღეს.

2.2 დაწესებულების ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის რაოდენობა ვერ დგინდება, რადგან არ არსებობს მოწესრიგებული საინვენტარო წიგნი და არც წიგნადი ფონდის საკუთრებაში ფლობის დოკუმენტაცია. დაწესებულებას წიგნადი ფონდის საკუთრებაში ფლობის დოკუმენტაცია აქვს მხოლოდ 339 წიგნზე, 52 წიგნი ხელშეკრულებით აქვს გადაცემული 2 წლის ვადით დროებით სარგებლობაში, ეს წიგნები შეესაბამება სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკას შემუშავებული არ აქვს არც დებულება და არც ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ასევე არ არსებობს ბიბლიოთეკი სამუშაო განრიგი. ბიბლიოთეკას სამკითხველო დარბაზი არ გააჩნია, წიგნსაცავიც და დარბაზიც განთავსებულია სკოლის საკლასო ოთახში.ბიბლიოთეკაში არ არსებობს კატალოგი.

2.3 ინსტიტუტს აქვს 6 კომპიუტერი, რომელთაგანაც 4 გამოიყენება დაწესებულების მართვაში, ხოლო 2 აუდიტორიებშია განთავსებული, რომლებიც მოძველებულია და მისი სასწავლო პროცესში გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელია. ვიზუალურად ნანახი იქნა 4 კომპიუტერი, აქედან 1 განთავსებულია

დაწესებულების ადმინისტრაციაში, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო ინტერნეტით უზრუნველყოფილი. კომპიუტერები ბუღალტერის განმარტებით დაწესებულებას აჩუქა დირექტროის შვილმა, თუმცა არ არსებობს შესამაბისი დოკუმენტაცია.
2.4 დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა არ ხდება სათანადო წესით, დაწესებულება ბრძანებების წიგნს არ აწარმოებს.
2.5. დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ფართში არ არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა, სამედიცინო პუნქტი.ინსტიტუტს ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების მექანიზმი არ აქვს შემუშავებული.
2.6. დაწესებულებას არ გააჩნია ვებ-გვერდი.
2.7. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები არ აქვს შემუშავებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით
3.1 ვერ იქნა მოძიებული ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები,
3.2. 1 პედაგოგის პირადი საქმე ვერ იქნა ნანახი, ხოლო 1 პირად საქმეში არ იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ცენტრის წარმომადგენელმა განუცხადა საბჭოს, რომ შპს - ბათუმის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგოვანი ინსტიტუტის წარმომადგენელმა დატოვა ავტორიზაციის საბჭოს სხოდმა. დამატებითი დოკუმენტაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

საბჭომ იმსჯელა და გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნაში მითითებული შენიშვნები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგოვანი ინსტიტუტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბათუმის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგოვან ინსტიტუტს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5.8 შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი"

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებულ ორივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - გეგმის სამანქანე განყოფილების დამხმარე დონის რიგითი მეზღვაური და გემბანის დამხმარე დონის რიგითი მეზღვაური - მითითებული კვალიფიკაცია არასწორია.
1.2 გემის სამანქანე განყოფილების დამხმარე დონის რიგითი მეზღვაური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან არ ახლავს 4 სილაბუსი: გემის დიზელის ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია; გემის ორთქლის ქვაბების და დამხმარე მექანიზმებისა და მოწყობილობების ექსპლუატაცია; სასწავლო პრაქტიკა (ტექნოლოგიური პრაქტიკა სახელოსნოებში და სამანქანო დარბაზში) და საწარმოო პრაქტიკა (საცურაო პრაქტიკა გემზე).
1.3 გემბანის დამხმარე დონის რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პოგრამას თან არ ახლავს სილაბუსები: გემის აგებულება და მოწყობილობები; ძირითადი საზღვაო - საერთაშორისო კონვენციების და საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები; საბაზისო კონვენციური მომზადება და უსაფრთხოება ზღვაზე, სასწავლო პრაქტიკა (სატაკელაჟო საქმე,; მესაჭის მომზადება ტრენაჟერზე) და საწარმოო პრაქტიკა (საცურაო პრაქტიკა გემზე)
1.4 დაწესებულებას მიერ არ იქნა წარმოდგენილი განხორციელებული პროგრამების კატალოგი
1.5 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.
1.6 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.
1.7 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით
2.1 დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო არ აქვს. დირექციის განმარტებით პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები ვერ ეყოლებათ. თუმცა, ვიზიტის დროს დაწესებულებაში დამონტაჟდა პანდუსები.
2.2. სტრატეგიული განვითარების გეგმები წარმოდგენილი არ იქნა. წარმოდგენილი იქნა დირექტორის მიერ დამტკიცებული ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების წესის შექმნისა და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულებები. დაწესებულების დირექციის განმარტებით გეგმები შემუშავების პროცესშია.

საბჭოს სხდომას ესწრებოდა შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის ეკვატორის დირექტორის მინდობილი პირი, თეიმურაზ ვარშანიძე, რომელმაც ვერ წარმოადგინა თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. თეიმურაზ ვარშანიძეს მიეცა საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. მისი განმარტებით, დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას და დასკვნაში მითითებული ხარვეზები აღმოფხვრილია.

ავტორიზაციის ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია ადექვატური ინფრასტრუქტურა, ასევე ადამიანური რესურსი და ვიზიტის დროს დაიწყო მუშაობა ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორისათვის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 2
წინააღმდეგი - 3

განსხვავებული აზრი დააფიქსირა საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შესახებ, სრულად არ დასტურდება, ვინაიდან განმარტება აღნიშნულის შესახებ განხორციელებულია სათანადო უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს წევრი, ნინო ძოწენიძე.

საბჭომ გადაწყვიტა:
შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" ავტორიზაციის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

5.9 შპს - „არგო“

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 შპს ,,არგოს“ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სრულად არ მოიცავს ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ ინფორმაციას დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;

1.2 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, ვინაიდან დაწესებულებაში არსებული ,,წესი“, ადგენს მხოლოდ, რომ სტუდენტს უფლება აქვს, სურვილის შემთხვევაში, სწავლა განაგრძოს სხვა სასწავლებელში სათანადო პროფესიული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რაც ისედაც, პროფესიული სტუდენტის უფლებას განეკუთვნება და მისი ინიციატივითა და ძალისხმევით ხორციელდება;

1.3 შპს „არგოს“ არა აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც გამოიყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ვიზიტის პერიოდისათვის შპს - ,,არგო“ განთავსებული იყო თბილისის N138 საჯარო სკოლის შენობაში, ამაზე სათანადო სამართლებრივი საფუძლის არსებობის გარეშე. დაწესებულების საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული ინვენტარი სწორედ ამ მისამართზე იყო განთავსებული.

2.2 შპს ,,არგოს“ ასევე გაფორმებული აქვს 2011 წლის 2 მაისის იჯარის ხელშეკრულება შპს ,,ქ.თბილისის მიხეილ გურამიშვილის სახელობის პედიატრიულ კლინიკასთან“ 50 კვ.მ ოდენობით ფართით (საკონფერენციო დარბაზი) სარგებლობის თაობაზე, მისამართზე ქ. თბილისი, თემქის დასახლება XI მ/რ, პირველი კვარტალი, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, და ,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ წარმოშობს იჯარის ნამდვილ უფლებას.

2.3 დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 133.3 კვ.მ ფართით სარგებლობის შესახებ 2008 წლის 24 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულება N5 შპს ,,ბახმაროსთან“ 3 წლის ვადით, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართი მდებარეობს ქ. თბილისი, თემქის დასახლება, III მ/რ, მე–5 კვარტალი, N25ა, თუმცა ვიზიტის პერიოდისათვის, აღნიშნული ფართი არ იყო აღჭურვილი სასწავლო ინვენტარით, და მესაკუთრის განმარტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ფაქტობრივად არასდროს არ უსარგებლია აღნიშნული ფართით.

2.4 საექსპერტო ვიზიტის პერიოდში (17.08.2011წ.), დაწესებულება ფაქტობრივად სარგებლობდა თბილისის 138–ე საჯარო სკოლის კუთვნილი ფართით (100 კვ.მ ოდენობით) 2010 წლის 1 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედებდა 2011 წლის 1 აგვისტომდე. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის სვეტლანა ბახიას განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება არ მომხდარა სკოლასთან, თუმცა დაწესებულება ფაქტობრივად განთავსებული იყო სკოლის შენობაში.

2.5 ვინაიდან, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით აღებული ფართით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფაქტობრივად არ სარგებლობს, შესაბამისად ვერ დადასტურდა ელექტროენერგიით და წყლით სარგებლობა. რაც შეეხება გათბობის საშუალებებს, დაწესებულებას საკუთრებაში არსებული ელექტრო გამათბობლების რაოდენობა საკმარისი არ არის იჯარით აღებული ფართისთვის.

2.6 დაწესებულებას არ აქვს საბიბლიოთეკო ოთახი, ხოლო ბიბლიოთეკის ლიტერატურა არ არის აღრიცხული ბიბლიოთეკისათვის დადგენილი წესით, არ არის საინვენტარო წიგნი, კატალოგი და მკითხველის ბარათები.

2.7 საექსპერტო ვიზიტისას ვერ დადასტურდა საგანმანათლებლო საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რადგან დაწესებულების მფლობელობაში არსებული ორივე კომპიუტერი განთავსებული იყო მხოლოდ დაწესებულების ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ ოთახში და არა აუდიტორიაში.

2.8 დაწესებულებაში არ არის დადგენილი საქმისწარმოების წესი. ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალში ერთ დღეს გამოცემულ ბრძანებებს ერთი და იგივე სარეგისტრაციო ნომერი აქვს მინიჭებული.

შპს - ,,არგოს“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2011 წლის პირველ აგვისტომდე იყენებდა სკოლის კუთვნილ ფართს. პირველ აგვისტოს დაწესებულება უნდა გადასულიყო სხვა შენობაში, მაგრამ რემონტი არ დამთავრდა, რის საფუძველზეც გაგრძელებული იქნა ხელშეკრულება საჯარო სკოლის ფართით სარგებლობის თაობაზე. მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა საიჯარო ქირის 30 აგვისტოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, საბჭოს მსჯელობის საფუძველზე, მოიხსნა შენიშვნა ფართთან დაკავშირებით.

შპს - ,,არგოს“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს მხოლოდ 3 პროგრამის (ექთნის თანაშემწის II და III საფეხურები და მასაჟისტის III საფეხური) განხორციელებას თვითშეფასებაში დაფიქსირებული 8 პროგრამის ნაცვლად.

ექსპერტის დასკვნით, ხარვეზების გასწორების ფაქტი ზემოაღნიშნული სამი პროგრამის მიმართ დოკუმენტურად დასტურდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არგოსათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

საბჭომ გადაწყვიტა:
შპს - ”არგოს” ავტორიზაციის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

5.10 შპს - თბილისის N1 მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც წარედგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს არ იყო დამტკიცებული დაწესებულების რომელიმე უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, წარმოდგენილ იქნა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები და რიგი საგნების სილაბუსები, რომელთა შესაბამისობა რომელიმე პროგრამასთან ვერ დადასტურდა.

1.2 დაწესებულებაში არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

1.3 სწავლის შედეგები არ არის შესაბამისობაში პროგრამებში მოცემულ სასწავლო გეგმებთან. (მაგ. სასწავლო გეგმაში არ ფიგურირებს სასწავლო კურსი/საგანი ავადმყოფის მოვლის საფუძვლები, ასევე არ არსებობს საწარმოო პრაქტიკის სილაბუსები).

1.4 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

1.5 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულება ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს ქ.თბილისში, ცაგარელის ქ. №38-ში მდებარე ფართს, რომელიც წარმოადგენს კორპუსში მდებარე კორპუსის ბინას ფართით 198.8 კვ.მ (და არა 400 კვ.მ. როგორც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში, და რა ოდენობის ფართის ფლობა ერთ მისამართზე წარმოადგენს ავტორიზაციის დებულების მოთხოვნას) რომელიც წარმოადგენს დაწესებულების დირექტორის შვილის, ანდრო ზანგალაძის, საკუთრებას. ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის 11 დეკემბერს და მოქმედებს 2011 წლის 11 დეკემბრამდე.

2.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯი ასევე სასწავლო პროცესისათვის იყენებს ქ.თბილისში, ყაზბეგის ქ. №16 -ში მდებარე შპს "ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინაღმდეგო ცენტრის" ფართს, ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მისამართი და კვადრატულობა. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ კოლეჯი იყენებს პირველ სართულზე არსებულ 1 ოთახს, სადაც დაწესებულების ადმინისტრაციაა განთავსებული, ასევე სააქტო დარბაზს. ამ ფართის საჯარო რეესტრის ამონაწერი ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად ფართის ფლობა არ დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3 დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მსგავსი ტიპის სხვადასხვა ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის, რომლის სარგებლობა ასევე არ დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.4 საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები არის მხოლოდ ცაგარელის ქ. №38-ში, საცხოვრებელი ბინის ფართზე.

2.5 დაწესებულებას საკუთარი წიგნადი ფონდი არ გააჩნია, თუმცა კოლეჯი იყენებს ლიტერატურას რომელიც არის დაწესებულების დირექტორის ოჯახის საკუთრება. ვერ იქნა წარმოდგენილი შესყიდვის/ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, წიგნადი ფონდი არ არის აყვანილი ბალანსზე და არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით.

2.6 დაწესებულებაში ვიზუალურად ნანახი იქნა 4 კომპიუტერი, აქედან 1 განთავსებულია დაწესებულების ადმინისტრაციაში, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო ინტერნეტით უზრუნველყოფილი. კომპიუტერები, ბუღალტერის განმარტებით დაწესებულებას აჩუქა დირექტორის შვილმა, თუმცა არ არსებობს შესამაბისი დოკუმენტაცია.
2.7 დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა არ ხდება სათანადო წესით, არ ხდება შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა.
2.8 დაწესებულებაში არ არის დაცული პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება, კერძოდ: არ არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
2.9 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის
2.10 ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არარელევანტურია, კერძოდ ინფორმაცია სტრუქტურასთან, პროგრამებთან და პერსონალთან დაკავშირებით, არ შეესაბამება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
2.11. დაწესებულებაში არ არის შემუშავებული განვითარების გეგმები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულებას გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთი და აპირებს საკუთარი შენობის აშენებას, წარმოდგენილი იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერი და შენობის პროექტი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით
3.1 დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის შესახებ, რომლის შესაბამისი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, ასევე არ იქნა წარმოდგენილი საშტატო განრიგი, ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები, შესაბამისად ამდენად ვერ დადგინდა დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობთან.
3.2. დაწესებულებაში მომუშავე პირებთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება კერძოდ, წარმოდგენილი ხელშეკრულებები ცალმხრივია და შეიცავს მხოლოდ "დამქირავებლის" ხელმოწერებს.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოსწორებული აქვს ესპერტთა დასკვნაში მითითებული ხარვეზები.

საბჭოს სხდომაზე გადამოწმდა შპს - თბილისის N1 მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯის მიერ დამატებით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ სილაბუსები არ არის სრულად წამორდგენილი, მაგ.: სამივე საფეხურზე არსებული ინგლისური ენის შემსწავლელი საგნებისათვის მარტო 1 საფეხურის სილაბუსი არის წარმოდგენილი. ასევე, წარმოდგენილია ექთნის თანაშემწის მხოლოდ მეორე საფეხურის სილაბუსები. ექთნის თანაშემწის პრორგამაში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა ქირურგია, თვალის სნეულებები, მეან გინეკოლოგია, რომელიც პროფესიული სტანდარტით გათვალისიწნებულ ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამის შედეგზე არ არის გათვლილი.

საბჭომ იმსჯელა და დაასკვნა, რომ შპს - თბილისის N1 მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯის პირობები არ არის შესაბამისობაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის N1 მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

განსხვავებული აზრი დააფიქსირა საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გასათვალისიწნებელია დაწესებულების მონდომება, მოიყვანოს თავისი პირობები ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის N1 მედიკო-ბიოლოგიურ კოლეჯს გაუუქმდეს ავტორიზაცია

5.11 შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

1.1 დაწესებულების დირექტორის მიერ 2011 წლის 8 აპრილს დამტკიცებულია ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) II და III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრაში განსაზღვრული პროგრამის მიზნები, შინაარსობრივად იმეორებს სწავლის შედეგებს, იმ ფორმით, როგორითაც ისინი აღწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N120 ბრძანების დანართი N2-ით დამტკიცებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში აღწერილ, შესაბამისი საფეხურის განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგები (კვალიფიკაციის აღმწერი) საფეხურების მიხედვით წარმოადგენს N040151 პროფესიული სტანდარტის ზუსტ ასლს. თუმცა სასწავლო გემით გათვალისწინებული ისეთი კურსების, როგორიცაა მაგალითად ,,მენეჯმენტის საფუძლები“ სწავლის შედეგები არ არის გადმოცემული.

1.2 პროგრამა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული განათლების კრედიტების სისტემას, ვინაიდან პროფესიული სტუდენტის შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება და ჩაბარებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო არ არის ასახული პროფესიული სტუდენტის დატვირთვის რაოდენობაში (კრედიტის შესაბამისი სამუშაო საათების რაოდენობა გადანაწილებულია მხოლოდ თეორიულ და სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაზე, რაც წინააღმდეგობაშია ზემოაღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტთან). პროგრამაში ასევე გათვალისწინებული არ არის პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

1.3 ინტერნეტტექნოლოგის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობა არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. - ინტერნეტტექნოლოგის მეორე საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი (სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა) შეადგენს 560 საათს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მოცულობა არის 1000 საათი, პრაქტიკული კომპონენტი არანაკლებ 600 საათს (პროგრამის 60%) უნდა შეადგენდეს.

1.4 სასწავლო კურსების პროგრამები - სილაბუსები არ არის.

1.5 საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისიწნებულია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი, თუმცა შეთანხმება პრაქტიკის განმახეორციელებელ ორგანიზაციასთან საწარმოო პრაქტიკის გავლის თაობაზე ვიზიტის დროს არ ყოფილა წარმოდგენილი.

1.6 საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) დაწესებულებას არ გააჩნია.

1.7 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასახულია წესდებაში, რომელიც ვიზიტის პერიოდში არ ყოფილა წარმოდგენილი.

1.8 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრს არ წარმოუდგენია.

1.9 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა შპს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრს შემუშავებული არ აქვს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებას არა აქვს ბიბლიოთეკა.

დირექტორის განმარტებით, სასწავლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, დირექტორის ბრძანებით ხდება საჭირო ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემა სტუდენტებისთვის. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ასეთი ბრძანება დირექტორს გამოცემული აქვს ინგლისური ენის 2 სახეობის სახელმძღვანელოსა და ვებ–ტექნოლოგიების 1 სახეობის სახელმძღვანელოზე; მისივე განმარტებით დანარჩენ სახელმძღვანელოებს სტუდენტები თავად იძენენ; ამასთანავე, ვერ იქნა წარმოდგენილი მიღება–ჩაბარების აქტები უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით;

2.2 დირექტორის ბრძანებები ნაწარმოებია ფაილური წესით და არ არის აღნუსხული სათანადო წესით; დაწესებულებაში არ მიმდინარეობს კორესპოდენციის აღრიცხვა;
2.3 დაწესებულებას არ აქვს ევაკუაციის გეგმა, რაც შეეხება წესრიგის დაცვას, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას არ ჰყავს ადმინისტრაციული პერსონალი, წესრიგის დაცვას, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უზრუნველყოფენ დირექტორი და მასწავლებლები.
2.4 დაწესებულებას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;
2.5 დაწესებულების ვებგვერდზე (www.infotech.edu.ge) განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, მილევად რეჟიმში განსახორციელებელი პროგრამების, სასწავლო გეგმების, პედაგოგების და სტუდენტების შესახებ ინფორმაცია; ვებგვერდის განახლების პერიოდულობა ვერ დასტურდება;
2.6 დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული მისიიდან გამომდინარე განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით
3.1 ადმინისტრაციული პერსონალი დაწესებულებას არ ჰყავს, ყველა ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებს დაწესებულების დირექტორი.
3.2 ინტერნეტტექნოლოგის ორი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს 7 მასწავლებელი, რომლეთაგან 1-ის კვალიფიკაცია (ჰუმანიტარული მეცნიერების ბაკალავრი) არ არის შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებისგან არც ერთის, ხოლო თამარ იაკობიძის პირად საქმეში არ არის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტი.

ცენტრის წარმომადგენელმა განუცხადა საბჭოს, რომ შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის წარმომადგენელი საბჭოს სხდომას არ ესწრება. დამატებითი დოკუმენტაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

საბჭომ იმსჯელა და გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნაში მითითებული შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრს გაუუქმდეს ავტორიზაცია

5.12 შპს - საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულებას მითითებული აქვს რომ, სურვილი აქვს განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა), მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი, ვიზაჟის სპეციალისტი, კოსმეტიკოსი;

მათგან, მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტის, ვიზაჟის სპეციალისტის და კოსმეტიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ვიზიტის დროს არ იქნა განხილული, რადგანაც ეს კვალიფიკაციები შეტანილია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეოთხე დანართით განსაზღვრულ მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი პროფესიული სტანდარტები;

განხილულ იქნა მხოლოდ – პარიკმახერის (ქალთა და მამაკაცთა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ვინაიდან აღნიშნული კვალიფიკაცია არ არის ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით განსაზღვრული მეოთხე დანართის მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში. ამავე დოკუმენტის მე–5 დანართით განსაზღვრული „კვალიფიკაციის ფორმირების წესის" შესაბამისად საგნამანთლებლო დაწესებულებას შეუძლია საგნამანთლებლო პროგრამის განხორციელებაზე თანხმობა მიიღოს თვითშფასების ანგარიშის წარმოდგენისას, საგანმანთლებლო პროგრამისა და პროფესიული სტანდარტის ერთიან პაკეტში წარმოდგენისას;

1.2 დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულების წარმომადგენლის (დავით დოღონაძის) განმარტებით: იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლებელში სწავლის ხანგრძლივობა არ აღემატება 10 თვეს, საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობის საკითხი პრაქტიკულად არ დგება; თუ ადგილი ექნება ისეთ უკიდურეს შემთხვევას, როდესაც შეიძლება დადგეს საკითხი შპს "საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრის" ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ, სასწავლებლის დირექციას აღებული აქვს პასუხისმგებლობა, სტუდენტსა და დირექციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.1.6. პუნქტის თანახმად, იმის თაობაზე, რომ უზრუნველყოს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სათანადო შეთანხმების მიღწევა, სასწავლებლის სტუდენტების მიერ პროგრამის გავლილი ნაწილის აღიარებისა და სწავლის გაგრძელების შესახებ.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - საპარიკმახერო ხელოვნების ცენტრი, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აკაკი წერეთლის ქ. №95 ა–ში ფლობს 100 კვ.მ ფართს. ხელშეკრულება დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. იმის გათვალისიწნებით, რომ ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის პირველ აპრილს, 4 წლის ვადით, აღნიშნული უფლების ნამდვილობისათვის, ,,საჯარო რეესტრის შესახებ" საქართელოს კანონით დადგენილი პირობები არ შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

რაც შეეხება თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ მეორე ფართს, რომელიც მდებარეობს იოანე პეტრიწის ქუჩა № 4–ში, აღნიშნული წარმოადგენს სილამაზის სალონ „პერი"–ს რომელთანაც სასწავლო ცენტრს დადებული აქვს უსასყიდლო თანამშრომლობის ხელშეკრულება, . სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც არ წარმოადგენს ფლობას.

2.2 სასწავლო ცენტრში განთავსებულია 2 ოთახი სალექციო და პრაქტიკული საქმიანობისთვის, ოთახები აღჭურვილია სარკეებით, მულაჟებით და საპარიკმახერო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სხვა ინვენტარით.

რაც შეეხება მანიკურის, პედიკურის, კოსმეტიკოსისა და ვიზაჟის შემსწავლელი კურსების განხორციელებისთვის საჭირო ფართსა და ინვენტარს, (რომელიც მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში), დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კომპიუტერულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

სწავლების კაბინეტთან ერთად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შემთხვევაში მოეწყობა 15 დღის ვადაში. ამჟამად ამ მიზნით გამოიყენება სილამაზის სალონ „პერის" ბაზა, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლისათვის აუცილებელი ბაზა დაწესებულებას არ გააჩნია.
2.3 დაწესებულებას არ აქვს ბიბლიოთეკის ოთახი, ექსპერტებისათვის წარმოდგენილი საბიბლიოთეკო ფონდები (ბეჭდური–15 და ვიდეოკასეტები–9, პროფესიული ჟურნალები და კატალოგები –19, CD-3არ არის აღნუსხული დადგენილი წესით (გატარებულია მხოლოდ ჟურნალში) და არ დგინდება ამ ფონდის დაწესებულებაზე კუთვნილების ფაქტი; არ არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2.4 დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროებებზე ადაპტირებული სასწავლო გარემო არ გააჩნია და ადმინისტრაციის განმარტებით ასეთი საჭიროების მქონე პირი მათ პროგრამებზე ვერ ისწავლის.
2.5 სასწავლო ცენტრს ინტერნეტის ქსელში პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა ფედერაციის ვებგვერდზე (www.hairfederation.org.ge) აქვს გადასასვლელი „ლინკი", რომელზეც განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, მილევად რეჟიმში განსახორციელებელი კურსების და სტუდენტების ნამუშევრების შესახებ ინფორმაცია; სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ დევს, ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ფორმატით გამზადებული მასალა ვებ–გვერდზე დასამატებლად.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მფლობელობაში ფართი არ გააჩნია, და შესაბამისად, დაუშვებელია მის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებაზე საუბარი.
დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ წლების განმავლობაში სარგებლობენ აღნიშნული ფართით, თუმცა ხელშეკრულების მეორე მხარე არ არის თანახმა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესაკუთრის მოტივის მიუხედავად, დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით ვერ უდასტურდება ფართის ფლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საპარიკმახერო ხელოვნების სასწავლო ცენტრს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი